ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

30
სექტემბერი,
ოთხშაბათი,
2015 წ., №11

ნომერში

- პირველკურსელები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციას შეხვდნენ

გვ. 2

- სიახლე, ინიციატივა, პროგლემა თსუ-ის ფაკულტეტებზე

გვ. 4

- როგორ გავზომოთ ქვეყნების ეკონომიკური ზრდა

გვ. 6

- ახალი წიგნი თაროზე

გვ. 11

- ახალი სამაგისტრო პროგრამა სამედიცინო ფიზიკაში

გვ. 11

- მზია წერეთელი: მივცეთ სტუდენტებს საშუალება, რათა უარი არ თქვან მთავარ ღირებულებაზე!

გვ. 13

რექტორობის მეორე წელი

16 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ საუნივერსიტეტო საზოგადოებას გასული წლის ანგარიში ჩააბარა. „უნივერსიტეტის რექტორად არჩევის პირველივე დღეებში პირობა დავდე, რომ ყოველწლიურად ჩავაბარებდი უნივერსიტეტს შემაჯამებელ ანგარიშს. უკვე წარმოვადგინე რექტორობის 100 დღის და ერთი წლის შედეგები, დღეს წარმოგიდგენთ – რა წარმატებას მიაღწია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გასულ სასწავლო წელს, რისი გაკეთება მოხერხდა, რით წავიწიეთ წინ, რა პროგლემები გამოიკვეთა ბოლო პერიოდში და რა პროგლემები გვაქვს უახლოეს პერიოდში გადასაწყვეტი“, — განაცხადა მან და პირველ რიგში აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი კვლავ რჩება ლიდერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად საქართველოში.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ საუნივერსიტეტო საზოგადოებამ მოითხოვა, რომ გაკეთებული საქმეების შესახებ ინფორმაცია ფართო აუდიტორიასაც მიეწოდოს.

გთავაზობთ რექტორის ანგარიშის სრულ ვერსიას.

ჩანართი — გვ. 7-10

თსუ-ში სტუდენტთა მომსახურების სისტემის რეფორმა იწყება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მომსახურების სერვისი გაუმჯობესდება. იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც ამ სისტემის რეფორმირებას გაუწევს ორგანიზებას. ამის შესახებ თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ 29 სექტემბერს სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„ის, რაც გაწუხებთ სტუდენტებს, გვაწუხებს ჩვენც, რადგან უნივერსიტეტი თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს, თუ სტუდენტებთან ურთიერთობის პრობლემა მუდმივად იქნება. ჩვენ გვაქვს უნივერსიტეტში სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომელიც ერთ საქმეზეა ორიენტირებული (რასაც მეტ-ნაკლებად კარგად აკეთებს,) მაგრამ, როგორც ასეთი, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი უნივერსიტეტს არ გააჩნია. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოხდეს ამ სისტემის სერიოზული რეფორმირება. გუშინ სამუშაო თათბირი გვქონდა, სადაც გადავწყვიტეთ, რომ შევქმნათ სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ორი თვის ვადაში წარმოადგენს თავის ხედვას — როგორი იქნება ეს სტრუქტურული ერთეული, რა ურთიერთობა ექნება მას ფაკულტეტებზე წარმოდგენილ სპეციალისტებთან... მინდა, ამ სამუშაო ჯგუფში სტუდენტებიც ჩაერთონ, რადგან ერთია — ჩვენ როგორ ვხედავთ პრობლემებს, სტუდენტის მიერ შიგნიდან დანახული ვითარება კი სულ სხვაა. უკვე ვიცი, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი არობელიძე ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებს. იგი გახლდათ ახალი სასწავლო წლის დაწყების დღეს გამართული აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მე მათ შევხვდი, ვისაუბრეთ და ძალიან ბევრი საინტერესო მოსაზრება მოვისმინე. ვთხოვ სტუდენტურ თვითმმართველობას — წარმოადგინოს თავისი წარმომადგენელიც. ასევე, თუ არის

მე-10 გვერდზე

ახალი სასწავლო წლის დაწყების ცერემონია და აქცია პარალელურ რეჟიმში

14 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებაზე საპროტესტო აქცია მოეწყო. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების რამდენიმე სტუდენტმა თსუ-ში და, ზოგადად, განათლების სისტემაში არსებული ვითარება გააკრიტიკა. უფრო კონკრეტულად, სტუდენტები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსებას პირდაპირი საბიუჯეტო წესით ითხოვდნენ. აქციაზე მათ, ასევე, გაახმიანეს აკადემიურ რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარვეზებიც, რაც ზოგიერთ საგანზე არასაკმარისი ადგილების რაოდენობას ეხება და, შესაბამისად, მათ დარეგისტრირების პრობლემას უქმნის. სტუდენტების აქციას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა ცერემონიაზე გამოსვლის დროს გამოეხმაურა, ღონისძიების დასრულების შემდეგ კი სტუდენტებთან ჩავიდა და პირადად ესაუბრა.

მე-3 გვერდზე

პირველკურსელები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციას შეხვდნენ

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები პირველკურსელებს შეხვდნენ. შეხვედრაზე აუდიტორიას ფაკულტეტზე მოქმედი დეპარტამენტები, სასწავლო პროგრამების კურიკულუმები და, ასევე, პრობლემებიც გააცნეს. თითოეული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ახალგაზრდებს დაწვრილებით აუხსნა სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის მნიშვნელობა და ინფორმაცია მიაწოდა პარტნიორ უნივერსიტეტებში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ. როგორ მოიპოვო სტიპენდია, რა ეტაპზეა სასწავლო ლიტერატურის თარგმნის პროცესი, რატომ უნდა ჩაერთონ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში – ამ საკითხების შესახებ უკვე დაწვრილებით ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ ისაუბრა.

„ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის პრობლემურია ქართულენოვანი ლიტერატურა, რადგან თუ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტს მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა მაღალ დონეზე, ბაკალავრიატში ასეთი რამ არ ხდება. უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს საუნივერსიტეტო მთარგმნელობითი სამუშაოები. ეს სტუდენტთა ინიციატივით დაიწყო, რაც ჩვენი ფაკულტეტისთვის საამაყოა. ზოგიერთი წიგნის თარგმანი უკვე დაწყებულია, ნაწილი კი მომზადების პროცესშია, ვმუშაობთ ლიცენზიის მოპოვებაზე.

სახელმწიფო სტიპენდიების მოსაპოვებლად საჭიროა რამდენიმე კრიტერიუმის დაკმაყოფილება. სტუდენტი ფასდება 100 ბალიანი სისტემით, აქედან 80 ქულა აკადემიურ მოსწრებაში იწერება, დარჩენილი 20 ქულა კი სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობასა და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებაზე ნაწილდება. ამ პროცესში სტუდენტების ხელშეწყობის მიზნით შევქმენით სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებზეა მორგებული. ასევე, 3 წელია ფაკულტეტზე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია იმართება — „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების დეპარტამენტმა ჩაატარა კონფერენცია დოიჩე ველეს აკადემიასთან ერთად. მნიშვნელოვანია, რომ პირველკურსელები სამეცნიერო წრეების მუშაობაში ჩაერთონ, რადგან სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებისა და კონფერენციებში მონაწილეობისთვის მოემზადონ. ასევე, მათი დახმარებით სამეცნიერო წრეების მონიტორინგის გაწევის საშუალებაც გვექნება“, — განაცხადა თამარ დოლბაიამ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა სტუდენტებს შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად გაიწერა. მისი განცხადებით, კვლევითი სამუშაოები უკვე დაწყებულია და ფაკულტეტი შედეგებს სპეციალურ პრეზენტაციაზე, წლის ბოლოს წარმოადგენს. ამ დროისთვის, აღნიშნულ პროექტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 27 ბაკალავრი, 10 მაგისტრანტი და 9 დოქტორანტია ჩართული.

ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების პრეზენტაციის პარალელურად შეხვედრაზე პრობლემების შესახებ ისაუბრეს როგორც პროფესორ-მასწავლებლებმა, ასევე, სტუდენტებმაც. მათ შორის ერთერთ ყველაზე აქტუალურ საკითხად თსუ-ის IV კორპუსის გარემონტებისა და აუდიტორიების სიმცირის საკითხი დაისვა.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მთავარი პრობლემა არა ლექციებისა და სილაბუსების შინაარსია, არამედ ის, რომ ფაკულტეტის 5 მიმართულება IV კორპუსშია მოქცეული. ზოგჯერ აუდიტორიები გადაჭედილ ყვითელ ავტობუსებს ჰგავს. აღა-მაჰმად ხანის დროს რომ თბილისი აოხრდა, მას შემდეგ ეს შენობა არ გარემონტებულა. ერთხელ, ერთმა დამლაგებელმა მითხრა: 1949 წელს ბერიამ ჩაიარა ჭავჭავაძეზეო და უთქვამს – ამ შენობას მე გავარემონტებო, მაგრამ დახვრიტეს. მას შემდეგ ეს კორპუსი მთლად უპატრონოდ დარჩა. შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ თსუ-ის ყველაზე დანგრეულ კორპუსში ვსწავლობთ. თუმცა, მიუხედავად ამ პრობლემებისა, მინდა გითხრათ, რომ თქვენ, კავკასიის მასშტაბით, საუკეთესო უნივერსიტეტის სტუდენტები გახდით, რომლის გარეშეც, როგორც ქვეყნის ისტორია, ასევე, დღევანდელობაც წარმოუდგენელია“, — განაცხადა პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ.

აუდიტორიების გარემონტების საკითხს ფაკულტეტის დეკანი თამარ დოლბაია გამოეხმაურა. მისი ინფორმაციით, 2016-2017 წლებში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კუთვნილი VI და IV კორპუსები გარემონტდება.

„ყოველი სემესტრის დასაწყისში დავდივარ „კარდაკარ“, რომ რომელიმე ფაკულტეტს აუდიტორიებზე შევუთანხმდე, მაგრამ თვითონაც შეზღუდულები არიან. ხშირად ისმის კრიტიკა, რომ თსუ ბევრ სტუდენტს იღებს და შემდეგ ინფრასტრუქტურა არასაკმარისია. მინდა გითხრათ, რომ ჩვენმა ფაკულტეტმა წელს მისაღები ადგილები 490-მდე შეამცირა. სტუდენტებს ვიღებთ, რადგან მოთხოვნაა დიდი და არა იმის გამო, რომ ფინანსური შემოსავლის გაზრდა გვსურს. მინდა, სტუდენტებს მივმართო: რა ჯგუფშიც უნდა იყოთ გაწევრიანებულები, არ აქვს მნიშვნელობა. ჩვენი მთავარი ზრუნვის საგანია, რომ სტუდენტებს შეგიქმნათ მარადიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სასწავლო-საგანმანათლებლო გარემო, სადაც თავისუფლად, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებად ჩამოყალიბებას შეძლებთ“, — მიმართა სტუდენტებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ სასწავლო წლის დაწყებისას გამართული აქციის მონაწილე სტუდენტები, რომლებმაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირდაპირი საბიუჯეტო წესით დაფინანსების საკითხი წამოაყენეს. სტუდენტთა ჯგუფი ამავე ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი არობელიძემ წარმოადგინა. მათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეკანს, პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს პოზიციის დაფიქსირების თხოვნით მიმართეს.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის შესახებ დიდი ხანია ვფიქრობთ. ბატონი რექტორი მოსვლის პირველი დღიდანვე ამაზე საუბრობს. ძალიან გამიხარდა, რომ სტუდენტებმა წამოაყენეს ეს თემა. გავაკეთოთ ამ საკითხის შესახებ სემინარები, სტუდენტებმა შექმენით ჯგუფი ფართო და წარმომადგენლობითი. მივცეთ კამერული ფორმა და თუ საუბრით, დიალოგით არ მოგვარდა საკითხი, მაშინ ყველამ ერთად მივმართოთ პროტესტს აქციის ფორმით“, — განაცხადა თამარ დოლბაიამ.

„ქვეყნის ბიუჯეტიდან გამომდინარე არ მჯერა, რომ პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების მიღება შევძლოთ. მინდა, სხვა რამეს მივაქციო თქვენი ყურადღება. უფრო კონკრეტულად კი – უნივერსიტეტის ბიუჯეტს, რომელიც აგებულია ,,ზემოდან ქვემოთ" პრინციპით და დეკემბრის ბოლოს მტკიცდება. ეს თემა ყოველთვის ბევრ კითხვას ბადებს, რადგან გამჭვირვალე არ არის. იქნებ გვეფიქრა ამ ბიუჯეტის ,,ქვემოდან ზემოთ" აგებაზე. დავთვალოთ ყველა ფაკულტეტზე რა შემოსავალი შემოდის და რამდენად თანაბრად არის განაწილებული თანხა“, — აღნიშნა პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ.

„ეს მნიშვნელოვანი თემაა, სტუდენტური თვითმმართველობა მზად არის, რომ შეხვედრებს და მსჯელობას საბიუჯეტო დაფინანსების შესახებ ორგანიზება გაუწიოს. სტუდენტები პირდაპირ მიმართავენ საპროტესტო აქციის ფორმას. ვფიქრობ, პრობლემის გადაჭრა დიალოგის გზით უნდა ვცადოთ და არა პირველკურსელებთან შეხვედრებზე ან სოციალური ქსელების საშუალებით“, — აღნიშნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ ტატო ირემაძემ.

ტატო ირემაძის განცხადებას სტუდენტების ნაწილის მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა. მათ სტუდენტური თვითმმართველობა უმოქმედობაში დაადანაშაულეს, თუმცა შეთანხმება შეხვედრებისა და პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების საკითხის ერთობლივი განხილვის შესახებ ძალაში დარჩა.

ოფიციალური გვერდი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

№157/01-01 11.09.2015

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილებით (დამტკიცებული თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №10 29.12.2014 წ.) დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-2 მუხლის მეორე პუნქტის, ამავე წესის მე-3 მუხლის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 5 აგვისტოს №27/04 ერთობლივი ბრძანების და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ დოლბაიას 2015 წლის 3 სექტემბრის №29079/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2015 წლის 11 სექტემბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 12 ოქტომბრიდან 2015 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2015 წლის 10 ნოემბრისა;

4. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი (კონფლიქტების ანალიზისა და მართვის პროგრამა)

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების დეპარტამენტი

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული.

5. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2015 წლის 12 ოქტომბრიდან 2015 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. № 8 (VI კორპუსი) ოთახი № 203-ა;

ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ პაპავა
რექტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი

ახალი სასწავლო წლის დაწყების ცერემონია და აქცია პარალელურ რეჟიმში

ნატო ოგოლაძე

სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავი ღონისძიება, ძირითადად, საპროტესტო შეძახილების ფონზე მიმდინარეობდა: „სმს.ტსუ.გე – ადგილები შევსებულია“, „პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება უნივერსიტეტს“, „არა უნივერსიტეტის კომერციალიზაციას“, „აუდიტორიებში ვერ ვსუნთქავთ“, „მეცნიერება მკვდარია“ და ა.შ. შეძახილები არ წყდებოდა მაშინაც, როდესაც პირველკურსელებს სასწავლო წლის დაწყება განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მიულოცეს. მილოცვების პარალელურად სტუდენტების პროტესტს ხელისუფლების ორივე წარმომადგენელი გამოეხმაურა.

„ყველას ვულოცავ სწავლის დაწყებას. მინდა, წარმატება ვუსურვო პირველკურსელებს — ,,პირველკლასელებს", რადგან მათთვის ეს ყველაფერი განსაკუთრებულად ახალია. თითოეულ თქვენგანს ვუსურვებ, რომ ეს წელი წარმატების, ნიჭიერების, წიგნიერების წელი ყოფილიყოს. დღეს არის ძალიან ბევრი საშუალება, რომ საკუთარი ნიჭიერება გამოავლინოთ. სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ პროფესორ-მასწავლებლებსაც. ვუსურვებ, რომ არსებული პრობლემები ერთობლივად მოვაგვაროთ. სკოლებში გარკვეული სიახლეები გვაქვს — მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის ამოქმედებას ვგეგმავთ, ასევე, უმაღლეს სასწავლებლებშიც არის ახალი მიმართულებები, უფასო პროგრამები, სეზონური სკოლები. მიმაჩნია, რომ სტუდენტებმა ეს შანსი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ. რაც შეეხება სტუდენტების პროტესტს, ვფიქრობ, რომ საჭიროა უფრო ქმედითი ზომების მიღება, პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება და უნივერსიტეტთან ერთად მუშაობა. დიდი სიამოვნებით ყველანაირად მხარში დაგიდგებით“, — განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

„მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ახალი სასწავლო წელი დაიწყო. მე ტრადიციულად მოვდივარ ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში, რათა უნივერსიტეტელებს და ყველა სტუდენტს მივულოცო სასწავლო წლის დაწყება. ეს დღე განსაკუთრებით პირველკურსელებისთვის არის მნიშვნელოვანი, ვინც ცხოვრების ახალი ეტაპი – უმაღლესი განათლების მიღება დაიწყო. სწორედ ამაზეა დამოკიდებული მათი წარმატება ცხოვრებაში და მათი მომავალიც, დიდ წილად, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მაქსიმალურად წაიღებენ უნივერსიტეტიდან იმ კვალიფიკაციასა და განათლებას, რასაც მათ ჩვენი ღირსეული პედაგოგები აწვდიან. მოითხოვეთ, ოღონდ კანონიერების ფარგლებში“, — მიმართა თსუ-ის პროფესორმა, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ სტუდენტებს.

ღონისძიებაზე თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-7 სემესტრის სტუდენტი ვენერა ცერცვაძე სტიპენდიით დააჯილდოვა. სტიპენდიატი რექტორის ხელფასიდან ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველთვე 250 ლარს მიიღებს.

ღონისძიებაზე გამოვლინდნენ სტუდენტების მიერ შერჩეული 2014-2015 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგები, რომელთაც შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ. ასევე, დაჯილდოვდნენ თსუ-ის მაღალრეიტინგული პირველკურსელები სპეციალური საჩუქრებით. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ზოგად უნარებში ყველაზე მაღალი ქულის მქონე, თსუ-ში სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს დავით სოსელიას კი კომპანია „ჯინო ფერედაისმა“ ყოველთვიური სტიპენდია – 200 ლარის ოდენობით დაუნიშნა. ცერემონიის დასასრულს რექტორმა საპროტესტო აქციის მონაწილე სტუდენტებს მიმართა.

რექტორი აქციის მონაწილეებს შეხვდა

ცერემონიალის დასრულების შემდეგ რექტორი ვლადიმერ პაპავა სტუდენტებთან ჩავიდა და აქციის მონაწილეებს მიმართა:

„წავიკითხე ყველა მოთხოვნა, რაც აქ დაფიქსირდა. მათ შორის ყველაზე მთავარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და, ზოგადად, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საბაზისო დაფინანსებასთან არის დაკავშირებული. ეს სიტყვები დღეს პირველად არ მითქვამს. ამის შესახებ ვსაუბრობდი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რექტორობის კანდიდატი ვიყავი. ასევე, ჩვენ როგორც ოფიციალური წერილით, ისე სატელევიზიო, საგაზეთო და სხვადასხვა ფორმით ვაყენებთ ამ საკითხს და ინტენსიურად ვმუშაობთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად. ამ შეხვედრის დაწყებამდე ჩემთან კაბინეტში იყო მინისტრის პირველი მოადგილე და ერთ-ერთი თემა, რაზეც ვისაუბრეთ, სწორედ პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება გახლდათ. ჩვენი ხედვა, რომ საუნივერსიტეტო სისტემის განვითარებისთვის პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება აუცილებელია, ერთმანეთს ემთხვევა. ამ თემაზე ინტენსიურად იმართება შეხვედრები, არაერთი წერილით მიმიმართავს პრემიერ-მინისტრისთვის. იმედს მაძლევენ, რომ კანონში ასეთი ჩანაწერი გაჩნდება. ამ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია ერთგვარია, ეს საკითხი აღელვებს მთლიანად უნივერსიტეტს - სენატს, აკადემიურ საბჭოს, ფაკულტეტებს. რაც შეეხება მეცნიერებას, ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ უნივერსიტეტში მეცნიერება მკვდარია. ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა სისტემა კიდევ დასახვეწია“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

ჩვენი ხედვა, რომ საუნივერსიტეტო სისტემის განვითარებისთვის პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება აუცილებელია, ერთმანეთს ემთხვევა. ამ თემაზე ინტენსიურად იმართება შეხვედრები, არაერთი წერილით მიმიმართავს პრემიერ-მინისტრისთვის. იმედს მაძლევენ, რომ კანონში ასეთი ჩანაწერი გაჩნდება.

რექტორთან პირისპირ საუბრისას სტუდენტებმა განავრცეს ის პრობლემები, რაც მათი საჯარო პროტესტის გამოხატვის საფუძველი გახდა. პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების დანერგვის აუცილებლობის გარდა, საუბარი შეეხებოდა აუდიტორიების სიმცირეს, ადმინისტრაციის რეფორმის საჭიროებას, სწავლების ხარისხის გაზრდასა და სასწავლო ლიტერატურის თარგმნის საკითხებს.

„ყველაზე მძაფრ პრობლემად მიმაჩნია პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების თემა. თუ გვინდა, რომ უნივერსიტეტში სიტუაცია გაუმჯობესდეს, მაშინ დაფინანსების წესი უნდა შეიცვალოს. ეს საკითხი რექტორის მხრიდანაც არაერთხელ გაჟღერებულა, მაგრამ იგნორირებული იყო. ეს მოთხოვნა არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და, ზოგადად, ხელისუფლების მისამართით. რექტორს ვთხოვთ, რომ უფრო მეტად კრიტიკული და მომთხოვნი იყოს. ამის შემდეგ უკვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გავმართავთ აქციას“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტმა, სენატის წევრმა ირაკლი კურპაძემ.

სტუდენტებმა რექტორს ინფორმაცია თსუ-ის ცხელი ხაზის პრობლემის შესახებაც მიაწოდეს. მათი თქმით, ცხელ ხაზს ხშირად არავინ პასუხობს. ასევე, ისაუბრეს ბიუროკრატიული ბარიერების შესახებ, რასაც თსუ-დან ამა თუ იმ საბუთის გამოთხოვნისას აწყდებიან. ვლადიმერ პაპავა ახალგაზრდებს პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა და შესთავაზა სპეციალურ ჯგუფში ჩართვა, რომელიც თსუ-ში „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მუშაობის დანერგვისთვის შეიქმნა.

საპროტესტო აქციის მონაწილე სტუდენტებმა რექტორისგან თანამშრომლობის შესახებ წინადადება მიიღეს, რასაც დათანხმდნენ და იმედი გამოთქვეს, რომ მათ მოძრაობას რექტორი, პროფესორ-მასწავლებლები და სხვა სტუდენტებიც შეუერთდებიან.

„რექტორმა გვითხრა, რომ პირდაპირი საბიუჯეტო წესით დაფინანსების მოთხოვნას უერთდება. იმედია, რომ ამ ბრძოლაში ერთად ვიქნებით. მან მიიღო ის შენიშვნები, რაც ჩვენ გვქონდა და მზად ვართ, რომ ჩავერთოთ „ერთი ფანჯრის პრინციპის“ შემუშავების პროცესში. დღევანდელი აქციის მიზანი არსებული პრობლემების საზოგადოებისთვის შეხსენება გახლდათ. ეს არ იყო ერთდღიანი მოძრაობა. ჩვენ ვგეგმავთ განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე მუშაობის გაგრძელებას“, — აღნიშნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი არობელიძემ.

აქციის მონაწილეთა მორიგი შეხვედრა

უკვე 24 სექტემბერს აქციის მონაწილე სტუდენტებმა თსუ-ის სააქტო დარბაზის ფოიეში შეხვედრა გამართეს. როგორც ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გიორგი არობელიძემ განაცხადა, მათ დაიწყეს დისკუსიების ციკლი, რომელიც კვირაში ერთხელ გაიმართება. შეხვედრებზე როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე, ზოგადად, განათლების სფეროში არსებული პრობლემები განიხილება.

„ჩვენ ვაპირებთ იმ პრობლემებზე მსჯელობას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშია. ვისაუბრებთ პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების აუცილებლობაზე, ბიუროკრატიულ ბარიერებზე. ვფიქრობთ, რომ თუ ადმინისტრაციის პრობლემა არ მოგვარდა, პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების მიღებას აზრი არ აქვს, რადგან ადმინისტრაცია კვლავ ასეთი ,,გაბერილი" და ბიუროკრატიული აღარ უნდა იყოს. გვინდა, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ჩავრთოთ ამ მოძრაობაში, რათა სტუდენტების სახელით საუბარი შევძლოთ“, — განაცხადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ნათია ქარჩილაძემ.

საპროტესტო მოძრაობის წევრები, ასევე, გეგმავენ სტუდენტების სოციალური პრობლემების, სტატუსშეჩერებული სტუდენტების, ახალგაზრდების დასაქმებისა და საცხოვრებლის საკითხების აქტუალიზაციას.

სიახლე, ინიციატივა, პრობლემა თსუ-ის ფაკულტეტებზე

თამარ დადიანი

დავაარსებთ საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ელექტრონულ ჟურნალს

თამარ დოლბაია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ფაკულტეტზე მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე მრავალი სიახლე დაინერგა და სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები შეიქმნა.

ფაკულტეტის საბჭოზე დავამტკიცეთ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის ერთიანი წესი, საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის, სტუდენტთა დაფინანსების წესი. შევიტანეთ ცვლილებები ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში, რომლის ერთერთ მნიშვნელოვან ცვლილებად დოქტორანტთათვის, დისერტაციის დაცვამდე, 2 სამეცნიერო სტატიის დაბეჭდვის მოთხოვნა მესახება.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში 6 პროექტი ხორციელდება, რომელშიც ჩართულია 25 პროფესორი და სწავლების სამივე საფეხურის 45 სტუდენტი. პროექტების I ეტაპის ანგარიშები უკვე წარმოდგენილია, ხორციელდება II ეტაპი და 15 დეკემბრამდე ექვსივე პროექტის პრეზენტაცია გაიმართება.

მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტის საბჭოზე დავამტკიცეთ სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების წესი, რომლის მიხედვით, გაზაფხულის სემესტრში ფაკულტეტის სამმა მიმართულებამ სტუდენტური კონფერენცია ჩაატარა. ამ სემესტრში იგეგმება პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების სტუდენტური კონფერენცია და ოქტომბრის პირველ რიცხვებში გამოცხადდება სტატიების მიღება საფაკულტეტო კონფერენციისთვის, რომელიც დეკემბერში გაიმართება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ივნისში 1დოიჩე ველე აკადემიასთან" ერთად სტუდენტური კონფერენცია გაიმართება. 22 ოქტომბერს, ისევ ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება სტუდენტურ კონფერენციას ჩაატარებს. საფაკულტეტო კონფერენციები კი სწავლების ორივე სემესტრში გვაქვს დაგეგმილი.

პირველად, ფაკულტეტის ისტორიაში, დავაარსეთ საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი სტუდენტური ელექტრონული ჟურნალი „ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი", რომლის პირველი ნომრის პრეზენტაცია 14 ივლისს გაიმართა. მეორე ნომრისთვის, რომელიც იანვრის დასაწყისში გამოვა, სტატიების მიღება უკვე გამოვაცხადეთ.

მესამე წელია ფაკულტეტი ჩემი და რევაზ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით, ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას: „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა". კონფერენცია ფრიად წარმომადგენლობითია, მასში ყოველწლიურად მონაწილეობენ უცხოელი სტუმრები და მომხსენებლები. ამ სასწავლო წელს, რიგით IV კონფერენცია ჩატარდება. აღსანიშნავია ისიც, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომების კრებულის 2 ნომერი უკვე გამოვიდა. წელს მესამე ნომრის გამოცემა იგეგმება.

პირველად ფაკულტეტის ისტორიაში, დავაარსებთ საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ელექტრონულ ჟურნალს პროფესორთათვის და მკვლევართათვის. ოქტომბრის პირველ რიცხვებში სტატიების მიღებას გამოვაცხადებთ და დეკემბერში უკვე ჟურნალის პირველი ნომრის პრეზენტაცია გვექნება.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ცვლილებებია განსახორციელებელი ხარისხის უზრუნველყოფისა და კურიკულუმის გასავითარებლად, რისთვისაც ფაკულტეტის პროფესურა დაუზარებლად შრომობს. შეიქმნება ახალი სასწავლო კურსები, რომლებიც ზოგიერთი მიმართულების სასწავლო პროგრამას დაემატება და ამით სტუდენტებს უფრო მეტი საგნის არჩევის შესაძლებლობა მიეცემათ.

რაც შეეხება ფაკულტეტის ინფრასტრუქტურას, აუდიტორიების ნაკლებობას განვიცდით. შესაძლებლობის ფარგლებში გვინდა, გავაფართოვოთ და განვავითაროთ ინფრასტრუქტურა და გავაუმჯობესოთ სტუდენტთა მომსახურების ხარისხი.

წელს პირველად გამოიცა სტუდენტთა სამეცნიერო შრომათა კრებული

თეიმურაზ ბერიძე,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი:

— 2015-2016 სასწავლო წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი განახლებული გეგმით ხვდება. გატარდება ცვლილებები ფაკულტეტის სტრუქტურულ ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით, ასევე, სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით. ვემზადებით ახალი პროგრამული აკრედიტაციისთვის, აქტიურად ვმუშაობთ სასწავლო პროგრამების სრულყოფისა და სწავლების ხარისხის თვისებრივი გაუმჯობესებისთვის. განვიხილავთ ახალი პროფესიული პროგრამების აკრედიტაციას.

სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, ვგეგმავთ გავაფართოვოთ მუშაობა უცხო ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოების თარგმნის მიმართულებით და მათი სასწავლო პროცესში ჩართვა მოვახდინოთ. გაიზრდება სტუდენტების სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფა. დაგეგმილია საბიბლიოთეკო ფონდის განახლება და უზრუნველყოფა როგორც ბეჭდური, ასევე, ელექტრონული სახელმძღვანელოებით.

სასწავლო და პროფესიული პრაქტიკების ხარისხიანად ჩატარების მიზნით, ფაკულტეტი გააფართოებს ობიექტების მოძიებას და მათთან ხელშეკრულებების გაფორმებას. სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკები სისტემური ხასიათის გახდება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი დიდ ყურადღებას აქცევს სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებას. ამ მიმართულებით მუშაობა უფრო ეფექტიანი და კოორდინირებული უნდა გახდეს. წელს პირველად გამოიცა სტუდენტთა სამეცნიერო შრომათა კრებული, რომელიც სტუდენტებში როგორც სამეცნიერო მუშაობის მოტივაციას გაზრდის, ასევე, ხელს შეუწყობს კვლევითი უნარების გამომუშავებას. დაგეგმილია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაფართოება, კერძოდ, დაფინანსების გაზრდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისთვის. აქტიურად ვიმუშავებთ უცხოური და ეროვნული გრანტების მოზიდვის თვალსაზრისითაც. ამაღლდება სადისერტაციო საბჭოს როლი სამეცნიერო ნაშრომების შეფასებებში.

მიმდინარე სასწავლო წელს თსუ-ის ადმინისტრაციამ მაღლივ კორპუსში სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები განახორციელა: გარემონტდა აუდიტორიების ნაწილი, მოხდა მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, თუმცა, ამ მიმართულებით პრობლემები კვლავ არის და მათი მოწესრიგება მიმდინარე სასწავლო წლისთვისაა დაგეგმილი.

ფაკულტეტისთვის კვლავ პრიორიტეტული რჩება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან კავშირების დამყარება და გაღრმავება, ასევე, უცხოელი ლექტორების მოწვევა სალექციო კურსების წასაკითხად. დაგეგმილია საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა, საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ფინანსური ხელშეწყობა.

„საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამამ საერთაშორისო აკრედიტაცია მოიპოვა

ირაკლი ბურდული,
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი:

2015–2016 სასწავლო წლისთვის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მთავარი სიახლეა, რომ „საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამამ საერთაშორისო აკრედიტაცია მოიპოვა. პროგრამა 2009 წლიდან შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან (გერმანია) ერთად ხორციელდება და ამ დროის განმავლობაში მან ბევრ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება ფაკულტეტს სხვა პროგრამებთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების უკეთ შესრულებაში დაეხმარება.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ წელს, იურიდიულ ფაკულტეტზე, აბიტურიენტთა ყველაზე მაღალი კონკურსი დაფიქსირდა. ჩვენმა ფაკულტეტმა მიიღო პირველკურსელთა ისეთი ნაკადი, რომელიც კონკურენტუნარიანობით ყველა სხვა დანარჩენს აღემატება. ეს ფაკულტეტისთვის ნამდვილად დიდი სიხარულის საბაბია!

ასევე, სიახლეს წარმოადგენს, რომ იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია თსუ-ის ფარგლებშივე წამოწყებულ სამეცნიერო-კვლევით ინიციატივებსა და პროექტებში, რაც ძალიან მალე უაღრესად საჭირო სასწავლო და სამეცნიერო პროდუქციის შექმნაში აისახება.

რაც შეეხება პრობლემებს, ვფიქრობ, ფაკულტეტს გადასაჭრელი აქვს ზოგიერთი ინფრასტრუქტურული საკითხი, რომელიც დაკავშირებულია სალექციო აუდიტორიების, ბიბლიოთეკისა თუ სხვა დამხმარე სივრცეების ტევადობასა და კეთილმოწყობასთან. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში მოგვიწევს გარკვეული ღონისძიებების გატარება, რათა სტუდენტებსა და პროფესორებს კომფორტული სამუშაო გარემო შევუქმნათ.

ჰუმანიტარული მეცნიერებებისადმი ინტერესი საქართველოში კვლავ დიდია

დარეჯან თვალთვაძე,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ყოველი ახალი სასწავლო წელი განსხვავდება წინა სასწავლო წლებისგან და ჰგავს კიდეც მათ — ჰგავს იმ საზეიმო განწყობით, რომელიც ერთნაირად მოიცავს როგორც სტუდენტებს, ასევე, პროფესურასაც; ჰგავს სახეგაბრწყინებული პირველკურსელებით. თუმცა ზეიმი მალე მთავრდება და იწყება ყოველდღიური შრომა იმ სასწავლო და სამეცნიერო მიზნების მისაღწევად, რაც ფაკულტეტს აქვს დასახული.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი წელსაც თავის ძირითად მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, აქტიურად აითვისოს დასავლური სამეცნიერო და აკადემიური გამოცდილება და, მეორე მხრივ, შეინარჩუნოს და იკვლიოს ჩვენი უნიკალური ფასეულობები, ტრადიციები, კულტურა; მისცეს თავის სტუდენტებს ახალი ცოდნა და გამოცდილება, რაც მათ ხელს შეუწყობს — იქცნენ დამოუკიდებელ ადამიანებად და საზოგადოებაში დაიმკვიდრონ თავი, როგორც მაღალკვალიფიციურმა პროფესიონალებმა. ჩვენს ტრადიციულ ამოცანად რჩება კვლავ სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

საიდუმლო არ არის, რომ ხშირად უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო შედეგების მიღწევა ახალგაზრდულ ასაკში ხდება, ამიტომ ფაკულტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს (როგორც ფინანსურად, ასევე სამეცნიერო თვალსაზრისით) ჩვენს დოქტორანტებსა და პოსტდოქტორანტებს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოვყოფ გასულ სასწავლო წელს დაწყებულ საუნივერსიტეტო მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროგრამას, რომელიც დეკემბერში დასრულდება. ამ პროგრამამ საშუალება მოგვცა ჩვენი სტუდენტები სამეცნიერო კვლევებში უფრო აქტიურად ჩაგვება. 2015 წლის მიზნობრივი კვლევის საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 20 პროექტი დაფინანსდა და 69 სტუდენტი დასაქმდა.

ახალმა სასწავლო წელმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებებისადმი ინტერესი საქართველოში კვლავ დიდია და ჩვენი უნივერსიტეტი, ამ თვალსაზრისით, ქვეყნის მასშტაბით, კვლავ ლიდერია. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 29 საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის სურვილი 9671 აბიტურიენტმა გამოთქვა, 400 სტუდენტი სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამაზე ისწავლის. დამთავრდა მიღება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზეც. 25 სამაგისტრო პროგრამაზე 196 სტუდენტი ჩაირიცხა, 10 სადოქტორო პროგრამაზე კი წელს 76 დოქტორანტი დაიწყებს სწავლას.

ფაკულტეტზე მომზადდა და ახლა გადის აკრედიტაციის პროცედურებს სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამა (ხელმძღვანელი პროფესორი კახა ლორია), წელს პირველად მივიღეთ სტუდენტები არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგიის სადოქტორო

მე-5 გვერდზე

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ, ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲖᲔ

მეოთხე გვერდიდან

პროგრამაზე (ხელმძღვანელები: პროფესორები: ვახტანგ ლიჩელი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ლორთქიფანიძე), რომელმაც შარშან გაიარა აკრედიტაცია.

მოგეხსენებათ, ზაფხული არ არის უნივერსიტეტისათვის „დასვენების“ დრო. იგი ჩვენი ფაკულტეტის მრავალმა სტუდენტმა და პროფესორმა სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციაში გაატარა, რაც მეტად მნიშვნელოვანი აქტივობაა ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო ცხოვრებაში. განსაკუთრებით გაგვახარა ჩვენი არქეოლოგების აღმოჩენებმა გრაკლიანი გორისა და სვანეთის ექსპედიციებში, რომლებშიც სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. ვფიქრობ, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ზაფხულში კარგად მოემზადა მომავალი წარმატებული წლის დასაგეგმად და დასახული მიზნების განსახორციელებლად. სექტემბრის დასაწყისიდან ფაკულტეტზე უკვე ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენცია, ოქტომბერ-ნოემბერში დაგეგმილია საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების გამართვაც, რომელშიც პროფესორებთან ერთად მონაწილეობის საშუალება ახალგაზრდა მეცნიერებსაც ექნებათ.

ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით ყველა უნივერსიტეტელს, განსაკუთრებით კი პირველკურსელებს მივულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და ვუსურვებ მაქსიმალურად გამოეყენებინოთ თსუ-ის შესაძლებლობები თავიანთი პროფესიული ზრდისა და პიროვნული სრულყოფისათვის.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა ბევრ სიკეთეს მოუტანს ფაკულტეტს

რამაზ ბოჭორიშვილი,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ყოველწლიურად ზრდის ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და მოხარული ვართ, რომ ამ მიდგომამ წელსაც გაამართლა — ფაკულტეტზე ახლად ჩარიცხული სტუდენტების სახით კარგი შევსებაა. წელს პირველად მივიღეთ სტუდენტები სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამ ინგლისურენოვან პროგრამაზე - ქიმია, ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერია. აღსანიშნავია, რომ ამერიკელ კოლეგებთან ერთად, სასწავლო პროცესში მონაწილეობას ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიც მიიღებს. ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტით დაიწყო ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ამერიკული სტანდარტების შესაბამისად და ეს პროცესი რამდენიმე წელი გაგრძელდება. ამ პროექტის ფარგლებში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა ბევრ სიკეთეს მოუტანს ფაკულტეტს, რაც წლების განმავლობაში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება.

ფაკულტეტმა ახალი სასწავლო წლისთვის პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო — ქართულენოვანი სასწავლო კურსების პარალელურად, სტუდენტებს ინგლისურენოვანი კურსები შესთავაზოს. წინასწარი განაცხადი, დაახლოებით, 150 ინგლისურენოვან კურსზე მივიღეთ და იმედი გვაქვს, რომ ამ კურსების უმრავლესობას, სტუდენტებს უკვე გაზაფხულის სემესტრიდან შევთავაზებთ. ცხადია, ასეთი რაოდენობის ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების არსებობა საშუალებას მოგვცემს, ჩვენს პროგრამებზე უცხოელი სტუდენტები მოვიზიდოთ და ამავდროულად გავზარდოთ ჩვენი სტუდენტების მონაწილეობა პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებში.

გასულ სასწავლო წელს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე წინაპირობების დაზუსტებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ პროგრამებზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე სტუდენტების მიღების საქმეში. თუმცა კვლავ რჩება ხარვეზები და ყველა პრობლემა წინაპირობების დარეგულირების გზით ვერ გადაიჭრება. მაგალითად, ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ისე მოდიფიცირება, რომ ამ პროგრამებზე უცხოელი სტუდენტების მიღების საშუალება გვქონდეს. ვფიქრობთ, ამ მხრივ, გასაუმჯობესებელია სასწავლო პროგრამები და იმედი გვაქვს, რომ ეს პრობლემა ახალ სასწავლო წელს მოგვარდება.

წელს განხორციელდება მე-3 კორპუსის სარემონტო სამუშაოები

თამარ გაგოშიძე,
თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, როგორც დამოუკიდებელი საუნივერსიტეტო ერთეული, პირველად ხვდება 2015-2016 სასწავლო წელს. ახალი სასწავლო წლის დაწყება ჩვენთვის განსაკუთრებული დღესასწაულია, რადგან წელს პირველად მივიღეთ სტუდენტები ახალი ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე. სასიხარულოა, რომ ახალი ფაკულტეტის მიმართ საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესი იყო. ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა, აბიტურიენტთა კონკურსის მიხედვით, სასურველი სპეციალობების პირველ ხუთეულში მოხვდა. წელს, 145 სტუდენტი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მივიღეთ, 25 სტუდენტი - დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამაზე და ასევე 33 სტუდენტი - მულტილინგვური განათლების საბაკალავრო პროგრამაზე. ძალიან დიდი კონკურსი იყო ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზეც, როგორც ფსიქოლოგიის, ისე განათლების მეცნიერებათა მიმართულებით. ფსიქოლოგიის 6 სამაგისტრო პროგრამის 74 ადგილზე 222 მსურველი გახლდათ, ხოლო განათლების მეცნიერებათა 2 სამაგისტრო პროგრამის 20 ადგილზე - 96 მსურველი. ახალი ფაკულტეტის პროგრამებით ასეთი დაინტერესება მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მომავალი განვითარებისთვის.

ასევე სასიხარულოა ჩვენი ფაკულტეტის პირველი, 2014-2015 წლის საბაკალავრო გამოშვება. პროფესორებისა და სტუდენტებისთვის ეს დღე ნამდვილად საზეიმო იყო. ფაკულტეტზე დაწესდა პირველკურსელების მიღებისა და წარჩინებული დიპლომების მქონე ბაკალავრების გაცილების საზეიმო რიტუალი.

ბუნებრივია, ახალ ფაკულტეტს ნორმალური სასწავლო გარემო ესაჭიროება. წელს თსუ-ის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, განხორციელდება ფაკულტეტის შენობის, მე-3 კორპუსის სარემონტო სამუშაოები, რაც ჩვენს ფაკულტეტს საზოგადოებისათვის კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის. დაგეგმილია სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიების შექმნა და აღჭურვა, უფრო კომფორტული სამუშაო გარემოს მოწყობა როგორც პროფესორებისათვის ისე სტუდენტებისთვის.

ახალ ფაკულტეტზე აქტიურად ვმუშაობთ ახალი სასწავლო ლიტერატურის შექმნის მიმართულებით, რაც განსაკუთრებით პრიორიტეტულია ჩვენთვის. პირველად გაიხსნა სადოქტორო პროგრამა „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“, შეიქმნა და ხარისხის მართვის სამსახურს აკრედიტაციისათვის გადაეცა ახალი სადოქტორო პროგრამა — „განათლების ფსიქოლოგია“. ფაკულტეტი ახალი მოდულის შემუშავებას გეგმავს სპეციალური განათლების სფეროში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო საგრანტო კონკურსში. ფაკულტეტზე, ამ კონკურსის ფარგლებში, 4 პროექტი დაფინანსდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პროფესორებისა და, განსაკუთრებით, დოქტორანტებისთვის.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲓᲘᲡᲪᲘ�პᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ — ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ — ᲛᲐᲚᲔ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲔᲑᲐ

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტი და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ახალი სამაგისტრო პროგრამის შექმნაზე მუშაობენ. სამედიცინო ფიზიკაში ინტერდისციპლინური პროგრამის ამოქმედება მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება. მედიცინის ფაკულტეტის დეკანის ალექსანდრე ცისკარიძის ინფორმაციით, ამის შედეგად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადდებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებზე მოთხოვნაც დასაქმების ბაზარზე უკვე ძალიან დიდია.

გვესაუბრება თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი ალექსანდრე ცისკარიძე

— ჩვენ დავიწყეთ მუშაობა ინტერდისციპლინურ სამაგისტრო პროგრამაზე – სამედიცინო ფიზიკა, რომელიც ძალიან საინტერესო და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებზეა ორიენტირებული. ეს პროგრამა მომავალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან ერთად განვახორციელებთ. იგი არ არის სტანდარტული პროგრამა, ის ევროპული და ამერიკული თანამედროვე კურიკულუმის მიხედვით კეთდება. პროგრამის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კლინიკური მედიცინის ინსტიტუტი, რომელსაც აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა ხელმძღვანელობს. ეს იქნება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი, რადგან, მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური და დიაგნოსტიკური ტექნოლოგიები მეცნიერების განვითარების უახლეს ეტაპებს ეფუძნება. განსაკუთრებით ეს ეხება ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკა-მკურნალობას. ფიზიკის, ასევე გარკვეული მექანიზმების ცოდნა და შემდეგ ამის კლინიკური აპლიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი დონის სპეციალისტები მომზადდნენ. ისინი საქართველოს სამედიცინო სივრცეში იმუშავებენ. დღეს ამ მხრივ დიდი დეფიციტია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ამ სამაგისტრო პროგრამის შექმნა. მალე ეს პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი იქნება.

მალე ჩვენ გვექნება სამედიცინო ფაკულტეტის კამპუსი

— როგორც იცით კლინიკის შენობა უკვე გადმოცემულია, ჩვენ მუდმივად ვიღებთ დახმარებას ამერიკის და ევროპის პარტნიორი კლინიკებიდან. საკმაო რაოდენობის აპარატურაა გადმოცემული საქართველოს ექიმთა ასოციაციის დახმარებით. ეს უკვე მყარი საფუძველია, რომ საუნივერსიტეტო კლინიკა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღვჭურვოთ. ასევე ვიწყებთ მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობის რეკონსტრუქციას. მალე სრულიად ახალი სახე მიეცემა და ჩვენ გვექნება სამედიცინო ფაკულტეტის კამპუსი. ყველანაირი პირობა იქნება შექმნილი, რომ სტუდენტებმა ისწავლონ, იკვლიონ და პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც გამოიმუშავონ. ეს პროექტი მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდება.

აჭარის სამ კლინიკასთან ხელშეკრულების გაფორმება იგეგმება

— ჩვენს ფაკულტეტზე მე-3-4 კურსიდან წლიდან სტუდენტები მხოლოდ კლინიკურ ბაზაზე სწავლობენ. ნაწილდებიან კლინიკებში, სადაც საშუალება აქვთ ნახონ და გასინჯონ პაციენტები, სწავლობენ სამედიცინო ისტორიის და სამედიცინო დოკუმენტაციის შევსებას. ფაქტობრივად, მაღალ კურსებზე უკვე საშეგირდო სწავლებაა. გამოცდილი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ეუფლებიან თავის პროფესიას.

ბათუმში გაიხსნა თურქული საკმაოდ წარმატებული სამედიცინო ინსტიტუტის ფილიალი, რომელსაც საკუთარი პატარა ჰოსპიტალიც ექნება (პატარა, თუმცა მაღალტექნოლოგიური). მათთან ვგეგმავთ ხელშეკრულების გაფორმებას. სტუდენტები, ვისაც სურვილი ექნება, იქ გაივლიან პრაქტიკას. ასევე ის სტუდენტები, რომლებიც წარმოშობით აჭარიდან არიან, შეძლებენ ზაფხულის განმავლობაშიც სტაჟირების გავლას. ხელშეკრულება ამჟამად მომზადების პროცესშია.

***მოამზადა* ᲜᲐᲗᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ**

როგორ გავზომოთ ქვეყნების ეკონომიკური ზრდა

პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან

თანამედროვე სამყარო გლობალურ პრინციპებზე შეთანხმებას მოითხოვს. ერთ-ერთი ასეთი პრინციპია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებული მეთოდოლოგიის გამოყენება სხვადასხვა სფეროში შექმნილი მდგომარეობის შესაფასებლად. ამ მეთოდოლოგიებით იზომება ცალკეული სახელმწიფოებისა და მთლიანად პლანეტის ეკოლოგიური, სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარების დონე. მეორე მხრივ, საერთაშორისოდ აღიარებული მაჩვენებლები და მათი სანდოობა დღევანდელობის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რადგან ზოგჯერ მონაცემების რეალობასთან მისადაგება ვერ ხერხდება. სავარაუდოდ, ამის მიზეზი ისიცაა, რომ გლობალური მასშტაბების გასაზომი პარამეტრების შემუშავება შედარებით ახალი მიმართულებაა მეცნიერებაში და, ბუნებრივია, დახვეწასაც ითხოვს.

2007-2008 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდგომმა პერიოდმა ეკონომისტებისთვის ბევრი ახალი კითხვა გააჩინა, მათ შორისაა ის, თუ რამდენად მართებულია ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპის შეფასება დღეს მიღებული მეთოდოლოგიით.

„ეკონომისტებმა ვიცით, რომ ეკონომიკური ზრდის გაზომვა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა და იგი განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც ორი ქვეყნის ეკონომიკას ვადარებთ ერთმანეთს", — აღნიშნა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ 11 სექტემბერს გამართულ სემინარზე ("პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან"), რომელზეც მან უნივერსიტეტის ეკონომისტთა საზოგადოებას საკუთარი სამეცნიერო მოხსენება წარუდგინა აღნიშნული პრობლემის შესახებ და ქვეყნების ეკონომიკების ზრდის შესადარებლად აუდიტორიას განსხვავებული მეთოდოლოგია შესთავაზა.

11 სექტემბერი, გარდა იმისა რომ გლობალური მნიშვნელობის კატასტროფის თარიღია, ამჯერად იმით იყო აღსანიშნავი, რომ სექტემბრის მეორე პარასკევს დაემთხვა, როდესაც საქართველოში ეკონომისტის დღე აღინიშნება. ეკონომისტებს განსაკუთრებული თვლა უყვართ და, ალბათ, ამიტომაც, ეკონომისტის დღე, კონკრეტული თარიღის ნაცვლად, სექტემბრის მეორე პარასკევია. 97 წლის წინ, 1918 წელს, სწორედ სექტემბრის მეორე პარასკევს გამოიცა პირველი ქართული სამეცნიერო-ეკონომიკური ჟურნალი „ეკონომისტი", რომელიც, ამავე დროს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პერიოდული გამოცემაც იყო. მოგვიანებით, უკვე ხელახლა დამოუკიდებლობა აღდგენილ საქართველოში, როდესაც ვლადიმერ პაპავა ეკონომიკის მინისტრის თანამდებობას იკავებდა, საქართველოს პრეზიდენტმა ეს დღე ოფიციალურ თარიღად დაადგინა, თუმცა, მას შემდეგ კიდევ შეიცვალნენ მთავრობები და თარიღი ოფიციალურად, ჯერჯერობით, აღარ აღინიშნება. ტრადიციის აღდგენას ახლა უნივერსიტეტში ცდილობენ და უკვე მეორე წელია ე.წ. ტრადიციული სემინარები სწორედ ეკონომისტის დღით იხსნება. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე კი ეს ყველაფერი მხოლოდ ტრადიცია ვეღარ იქნება, რადგან, ეროვნული ვალუტის მდგომარეობის გამო, ეკონომიკური თემები, აქტუალობით, პოლიტიკურ თემებს სჯაბნის.

11 სექტემბერს წარმოდგენილი მოხსენება ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შეფასების ახალ მეთოდოლოგიას და გლობალური ეკონომიკის გაზომვის პრობლემებს ეხებოდა. საქართველოს ეკონომიკა უკვე დიდი ხანია გლობალური ეკონომიკის ნაწილია, ამდენად ეს თემა ჩვენთვისაც საყურადღებოა. ამავე მოხსენებით გამოსვლას ვლადიმერ პაპავა სპეციალური გრანტის ფარგლებში ოქტომბერში ბოსტონში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე გეგმავს, სადაც მსოფლიო ეკონომიკის საკითხებზე იმსჯელებენ.

„რა მაჩვენებლით უნდა შეფასდეს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონე, თუკი გვინდა, რომ რეალური სურათი მივიღოთ?" – ასეთია შეკითხვა, რომელზეც ვლადიმერ პაპავას მიერ ჩატარებულ კვლევას უნდა გაეცა პასუხი.

ძნელია არ დაეთანხმო ვლადიმერ პაპავას იმაში, რომ დღეს მსოფლიო ბანკის მონაცემები, რომლებიც ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას უჩვენებენ, რეალური ეკონომიკური ზრდის სურათს არ იძლევა: დღეისთვის მიღებული ოფიციალური მონაცემებით, ეკონომიკური ზრდით პოსტკრიზისული მსოფლიოს ლიდერი ჩინეთია (2013 წელს 7.7%), II და III ადგილებს კი ინდონეზია და ინდოეთი ინაწილებენ. დიდი ოცეულის ქვეყნების „მაჩანჩალები" ეკონომიკური ზრდის მიხედვით იაპონია და იტალიაა, ზრდის ასევე დაბალი ტემპებია ამერიკის შეერთებულ შტატებში (2013 წელს 2.5%), ავსტრალიაში, ბრიტანეთსა და საფრანგეთში.

ეკონომისტებისთვის ცნობილია, რას შეიძლება ნიშნავდეს აღნიშნული მაჩვენებლები და ისიც, რომ რაც უფრო განუვითარებელია ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო ადვილია ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლის მიღწევა: თუკი სახელმწიფო აწარმოებდა 1 ტრაქტორს და მომდევნო წელს ორის წარმოება შეძლო, ამ სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდა 100 პროცენტი იქნება, მაგრამ თუკი სახელმწიფო აწარმოებდა 100 ტრაქტორს და მომდევნო წელს მხოლოდ 102 აწარმოვა, ზრდაც, შესაბამისად, 2 პროცენტი იქნება. ამ მარტივი არითმეტიკის უკან რთული ეკონომიკა და მკვეთრი ზრდის ეფექტი დგას, რომელიც განპირობებულია კაპიტალის კლებად უკუგებაზე. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა: „ამ ფაქტორის გამო იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკის განვითარების დონე მაღალია, ბევრად უფრო რთულია მაღალი ზრდის ტემპის შენარჩუნება, ვიდრე იქ, სადაც ეკონომიკის ზრდა შედარებით დაბალია. ეს პრობლემა დღემდე არ არის გადაწყვეტილი ეკონომიკურ ლიტერატურაში, ამის შედეგი კი გავრცელებული მოსაზრებაა იმის შესახებ, რომ ჩინეთის ეკონომიკა უფრო დიდია, ვიდრე შეერთებული შტატებისა. რეალობა კი სულ პირიქითაა. აბსოლუტურ მაჩვენებელში ჩინეთის ეკონომიკა უფრო დიდია, მაგრამ რა რესურსით იქმნება ჩინური სიმდიდრე და როგორია მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის წილი? აქ ჩინეთი უკვე აშკარად ჩამორჩება შეერთებულ შტატებს: მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის ერთ სულზე 2013 წელს მოდიოდა 53 042 დოლარი, ჩინეთში 6 807 დოლარი, კიდევ უფრო ნაკლებია მაჩვენებელი ინდონეზიის, თუ ინდოეთის შემთხვევაში. დაახლოებით იგივე პარადოქსთან გვაქვს საქმე ეკონომიკური ზრდის შემთხვევაშიც. შესაბამისად, კვლევის ამოცანა იყო რეალური ზრდის გასაზომად გამორიცხული ყოფილიყო მკვეთრი ზრდის ეფექტი, რაც მეტ-ნაკლებად შესაძლებელს გახდის ობიექტურ გაზომვას", — აღნიშნა მოხსენების ავტორმა.

პრობლემის გადასაჭრელად ვლადიმერ პაპავა პროპორციული გადაფარვის ჰიპოტეზას გვთავაზობს, რომლის კოეფიციენტები შემდეგია: შესადარებელი ორი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლები უნდა გავყოთ ერთმანეთზე. შესადარებელ ქვეყანად ამჯერად აღებულია ავსტრალია, რადგან მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის მიხედვით იგი 2013 წლის ლიდერი ქვეყანაა. შემოთავაზებული მეთოდით ვიღებთ უკვე ეკონომიკის ზრდის ტემპის კორექტირებულ სურათს და თუ მანამდე ჩინეთის ეკონომიკური ზრდა იყო 7,7%, ახალი გათვლით ჩინეთის ეკონომიკის ზრდა ავსტრალიასთან შედარებით 2012-13 წლებში იყო 1%-ზე ნაკლები (კერძოდ, 0,78%).

ამ პრინციპით კორექტირებული ეკონომიკური ზრდის ტემპით ქვეყნების რეიტინგები შემდეგნაირად განლაგდება: თუ ავსტრალია 2013 წლებში იყო მე-8 ადგილზე დიდი ოცეულის ქვეყნებს შორის, ახლა იგი პირველი გახდა რეიტინგში; კანადამ მე-11 ადგილიდან 3-4 ადგილზე გადაინაცვლა, აშშ-მ მე-10 ადგილიდან მე-2 ადგილზე. სამაგიეროდ ინდონეზია აღმოჩნდა არა მეორე, არამედ 12-13 ადგილზე, ინდოეთმა კი რიგით მე-3 მზარდი ეკონომიკიდან მე-17-18 ადგილზე გადაინაცვლა. ვლადიმერ პაპავას თქმით, აღნიშნული პარამეტრებით გაზომვა სწორი აღმოჩნდა ინვარიანტულობის თეორემის მიხედვითაც, რომლის დროსაც შეიცვალა შესადარებელი ქვეყანა, მაგრამ არ შეცვლილა შედეგები. აღსანიშნავია ისიც, რომ მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვის მეთოდიკა შესაძლებელია გამოვიყენოთ არა მხოლოდ დიდი ოცეულის, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკათა შესადარებლადაც.

გაითვალისწინებს თუ არა საერთაშორისო ეკონომიკური საზოგადოება ვლადიმერ პაპავას მიერ შეთავაზებულ ხედვას, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუმცა, ძნელია არ დაეთანხმო მოხსენების ავტორს იმაში, რომ ასე გაზომილი ეკონომიკური ზრდა გაცილებით უფრო ადეკვატურ სურათს იძლევა, ვიდრე მიიღება დღემდე მიღებული ზრდის ინდიკატორებით.

მოამზადა **ლელა კურდღელაშვილმა**

ინსულტის მსოფლიო ორგანიზაციის მე-6 კონფერენცია „თბილისი 2015: ინსულტის პრევენცია, დიაგნოზირება და მკურნალობა"

ინსულტის მსოფლიო ორგანიზაციის მე-6 კონფერენციას "თბილისი 2015: ინსულტის პრევენცია, დიაგნოზირება და მკურნალობა" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელი მარინე ჩიტაშვილი, ქართველი და უცხოელი ნევროლოგები დაესწრნენ.

„ქართული სამედიცინო სკოლა დიდი ხანია აღიარებულია საერთაშორისო დონეზე და არაერთი საერთაშორისო კონფერენცია ჩატარებულა თბილისში. ვფიქრობ, რომ ეს კონფერენცია ძალიან საინტერესო იქნება მონაწილეთათვის, რადგანაც იგი მისცემს მათ საშუალებას ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება და უახლესი თანამედროვე მიღწევები", — განაცხადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

ცერებრული ინსულტის პრობლემა უაღრესად აქტუალურია, რადგანაც იგი მეორე ადგილზეა მიოკარდიუმის ინფარქტის შემდეგ, როგორც მოზრდილთა სიკვდილის მიზეზი და უდავო ლიდერია, როგორც ფუნქციური უნარშეზღუდულობის და მყარი ინვალიდობის გამომწვევი დაავადება. განსაკუთრებით მაღალია ინსულტის სოციალურ-ეკონომიკური ტვირთი საზოგადოებაზე — განვითარებულ ქვეყნებში ინსულტით გამოწვეული წლიური ეკონომიკური ზარალი რამოდენიმე ათეულ მილიარდ დოლარს აღწევს. არანაკლებ აქტუალურია ინსულტის პრობლემა საქართველოში და სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, ინსულტის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით თბილისში უკვე მეექვსედ (ყოველ 3 წელიწადში ერთხელ) გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია. ღონისძიების ორგანიზატორები არიან თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტი, საქართველოს ინსულტის ასოციაციის და პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტი. კონფერენცია მიეძღვნა დაავადების პრევენციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის აქტუალურ საკითხებს. თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ალექსანდრე ცისკარიძის განცხადებით, „კონფერენცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო და სამედიცინო ცხოვრებაში. ინსულტის დაავადება ძალიან გავრცელებულია საქართველოში და იგი მაღალი სიკვდილიანობით და ინვალიდიზაციით ხასიათდება. შესაბამისად, დიდია ინტერესი ამ დაავადების შესწავლის, დიაგნოსტიკური გზების ძიების, მკურნალობის ახალი მეთოდების აღმოჩენის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც ტარდება ამ დაავადების საწინააღმდეგოდ არასაკმარისია. კონფერენციაზე განიხილავენ აქტუალურ პრობლემებს და ინსულტის მკურნალობის ინოვაციურ მეთოდებს, რაც შემდგომში, ამ მეთოდების ჩვენს ქვეყანაში განვითარებისა და დანერგვის შესაძლებლობას მოგვცემს".

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ 20-ზე მეტი ქვეყნის (აშშ-ის, გერმანიის ფედერაციული რეპუბლიკის, ისრაელის, უნგრეთის, იტალიის, კანადის, პორტუგალიის, შვედეთის, თურქეთის, ესპანეთის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, ხორვატიის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უკრაინის, უზბეკეთის, თურქმენეთის) სხვადასხვა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტებისა და სამედიცინო ცენტრების ინსულტის დარგში მოღვაწე წამყვანი მეცნიერ-მკვლევრები და ცნობილი ექიმ-ნევროლოგები.

სამდღიანი კონფერენცია დააფინანსა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა.

რექტორობის მეორე წელი

● გვესაუბრება რექტორი ლადო პაპავა ●

უმთავრესი სიახლეები

- **39 ათასი აბიტურიენტიდან 10 ათასზე მეტმა თსუ-ზე გააკეთა პირველი არჩევანი. ვაკანტური ადგილები მაქსიმალურად შეივსო. 3600-მდე პირველკურსელთაგან 80%-მა სახელმწიფო გრანტი მოიპოვა.**

ეს მაჩვენებელი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან გვიჩვენებს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ ლიდერ უნივერსიტეტად რჩება საქართველოში. ეს არის არა ჩვენი შეფასება, არამედ აბიტურიენტის და მისი მშობლების შეფასება, რომლებიც უნივერსიტეტზე აკეთებენ პირველ არჩევანს.

აქვე უნდა ვთქვა, რომ უნივერსიტეტმა მაქსიმალურად შეავსო ვაკანტური ადგილების რაოდენობა. ჩვენთან წელს ჩაირიცხა 3600-მდე სტუდენტი, რომელთაგანაც 80-პროცენტზე მეტი სახელმწიფო გრანტის მფლობელია. ასევე ხაზგასასმელია, რომ მინიმალური სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ჩაირიცხნენ სტუდენტები, ჩვენს უნივერსიტეტს გაცილებით მაღალი აქვს, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარია.

- **თსუ-ის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მაღმოაჩინა უნიკალური წარწერა. გრაკლიან გორაზე (კასპის რაიონი) ნაპოვნია ახალი არტეფაქტი, მეცნიერთა აზრით, შეცვლის არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს დამწერლობის ისტორიის გარკვეულ ეტაპს.**

ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელიც ეკუთვნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ვახტანგ ლიჩელს და იმ სტუდენტებს, რომლებიც სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში მუშაობდნენ გრაკლიანი გორის არქეოლოგიურ გათხრებზე. ეს არის საგნის დაუფლება პრაქტიკული საქმიანობით, რასაც ჩვენს უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა.

თსუ-ის წარმატება საერთაშორისო რეიტინგებში

წელს უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გაიუმჯობესა მდგომარეობა საერთაშორისო რეიტინგებში. საუნივერსიტეტო საზოგადოებამ იცის, რომ არსებობს სხვადასხვა რეიტინგი, რომელთა შორისაც არის WEBOMETRICS. ეს არის სარეიტინგო სააგენტო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ელექტრონული ბაზების გამოყენების საფუძველზე მუშაობს. მათ ბაზაში მოხვედრილია მსოფლიოს 23 000-ზე მეტი უნივერსიტეტი. მიმდინარე წლის მარტში ამ რეიტინგში, მსოფლიოს მასშტაბით, ჩვენ ვიყავით 2006-ე, ხოლო ევროპის მასშტაბით — 714-ე ადგილზე და გამოკვეთილი ლიდერი გახლდით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონშიც. გარკვეული ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმების ჩატარების შემდეგ, რაც ჩვენს ვებ-გვერდზეც აისახა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სექტემბერში მსოფლიოს მასშტაბით 830-ე ადგილზე გადმოინაცვლა და მსოფლიო უნივერსიტეტების ათასეულში შევიდა, ხოლო ევროპის მასშტაბით უკვე 349-ე ვართ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სარეიტინგო სისტემა URAP (University Ranking by Academic Performance), რომელიც მხოლოდ სამეცნიერო აქტიურობას აფასებს და მის რეიტინგებში მხოლოდ მსოფლიოს 1000 უნივერსიტეტი ხვდება. ცოტა ხნის წინ მივიღეთ სერტიფიკატი, რომელშიც მითითებულია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მსოფლიოს 1000 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის აკადემიური აქტიურობით 985-ე ადგილი დაიკავა, ხოლო კავკასიაში იგი კვლავ ლიდერია.

ასევე საერთაშორისო აღიარებად უნდა მივიჩნიოთ, რომ FIBAA-ს სააკრედიტაციო საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტისა და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (გერმანია) ერთობლივ ინტერდისციპლინურ სამაგისტრო პროგრამას — საჯარო მმართველობას, რეკომენდაციებისა და შენიშვნების გარეშე 5 წლის ვადით მიენიჭა საერთაშორისო აკრედიტაცია, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა საქართველოს საუნივერსიტეტო ისტორიაში.

უდავოდ წარმატებად მისაჩნევია ასევე ის, რომ ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) მიერ ორგანიზებულ რომის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელზეც უნივერსიტეტს 5 მომხსენებელი ჰყავდა წარდგენილი, თსუ-ს გადაეცა სერტიფიკატი, რომლის მიხედვითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საუკეთესო კვლევით ცენტრებს შორის, II ადგილი მიენიჭა. I ადგილზეა იოჰანეს კეპლერის უნივერსიტეტი (ლინცი, ავსტრია), III ადგილზე კი – აშშ-ის ფროსტბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2015 წელი — მეცნიერების წელი

2015 წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რექტორის ინიციატივით, მეცნიერების წლად გამოაცხადა. ამ წელს მეცნიერების წახალისებისათვის მიიღეს რამდენიმე პრინციპული გადაწყვეტილება: 1) აკადემიური საბჭოს მხარდაჭერით უნივერსიტეტის სენატმა დაამტკიცა მინიმალური სამეცნიერო სტანდარტი. აქამდე იყო ასეთი სიტუაცია — მეცნიერული კვლევა დამოკიდებული იყო ჩვენი პროფესორების სურვილზე და მათ ინტერესზე, მაგრამ, რადგან ეს უნივერსიტეტი დამფუძნებლებმა შექმნეს, როგორც სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება, ჩვენთვის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ამ საქმიანობას ორგანიზებული სახე მისცემოდა. ამიტომ შემოვიღეთ სტანდარტი, რომელიც პრინციპულია და მეცნიერის შეფასება ხდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სამეცნიერო გრანტებით და მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით. ჩვენი აზრით, ეს მეცნიერებს მისცემს საერთაშორისო კონტაქტების დამყარების და სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციის შესაძლებლობას. თუმცა, ამ ყველაფრის გაკეთება ადვილი არ არის და, სიძნელეების გათვალისწინებით, ჩვენ მეცნიერებს მივეცით საშუალება, მოემზადონ მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის – სტანდარტი მივიღეთ 2014 წლის 29 დეკემბერს და ძალაში შევა 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც სავსებით საკმარისი დროა, რომ პროფესორებმა თავი მოუყარონ თავიანთ ნაშრომებსა და მისცენ მსვლელობა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. პუბლიკაციები ინდექსირებული უნდა იყოს ბაზებში: WEB OF SCIENCE, SCOPUS, SCIMAGO JOURNAL & COUNTRY RANK, RESEARCHGATE, WEB SCIENCE, ERIH, Google Scholar.

ცალკე გვაქვს გამოყოფილი ქართველოლოგიურ დარგებში რეცენზირებადი პუბლიკაციების სისტემა, რადგან ამ დარგებში წამყვანი საქართველოა და სამეცნიერო ნაშრომები ამ მიმართულებით აქ გამოქვეყნდება, ამასთან უნდა იყოს სათანადო დონის.

წელს პირველად უნივერსიტეტში შეიქმნა სამეცნიერო ფონდი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელებისთვის. პირველ ეტაპზე 2015 წლის ბიუჯეტში ფონდისთვის გამოყოფილია ნახევარ მილიონ ლარზე მეტი – 525 000 ლარი, რაც თანაბრად გადანაწილდა ყველა ფაკულტეტზე (თითოეულს 75 000 ლარი), რათა მათ შეერჩიათ საუკეთესო კვლევითი პროექტები. ამ პროექტების დაფინანსებისთვის შევიმუშავეთ მთავარი ინდიკატორები (მაგალითად, ერთი პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 20 000 ლარს, პროექტში ჩართული იქნება მინიმუმ 2 სტუდენტი და სხვ.). შედეგი ძალიან კარგია — ფაკულტეტებმა მთლიანობაში შეარჩიეს 62 პროექტი, რომელშიც ჯამურად მონაწილეობს ბაკალავრიატის საფეხურის 104 სტუდენტი, 50 მაგისტრანტი, 75 დოქტორანტი. ეს ფონდი ამ წელს აპრობაციას გადის. პირველი წლის შედეგების შეჯამება დაგვანახებს, რა ხარვეზები გვქონდა, რომ მის გამოსწორებაზეც ვიზრუნოთ და თანხებიც უფრო მაღალი ეფექტიანობით გამოვიყენოთ.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაცია

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაციის კუთხით. წინა წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან 14 ინსტიტუტი შემოუერთდა უნივერსიტეტს. მათ ჰქონდათ დამოუკიდებელი სტატუსი, მაგრამ, გარდა მთავრობის დადგენილებისა, არანაირი სამართლებრივი ბაზა არ გააჩნდათ. ჩვენ პერიოდულად ვხვდებით ინსტიტუტების ხელმძღვანელებს და წამყვან მეცნიერებს, მუშავდება მათი დებულებები, რომელსაც სენატი დაამტკიცებს და ისინი სამართლებრივად მიიღებენ ფუნქციონირებს საშუალებას.

ამ ეტაპზე 14 ინსტიტუტიდან თსუ-ს სენატმა დებულება დაუმტკიცა 3-ს, მათგან ერთი წლის წინ — მორფოლოგიის ინსტიტუტს, საანგარიშო პერიოდში კი — პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტსა და მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტს. მათ უკვე არჩიეს სამეცნიერო საბჭოები, საბჭოს თავმჯდომარეები და ინსტიტუტის დირექტორები. შემდეგი ეტაპი იქნება ატესტაცია ან კონკურსი (ჩვენ მათ მივეცით თავისუფლება და თავად გადაწყვეტენ, ატესტაცია ჩატარდება თუ კონკურსი).

1 იანვრიდან მთავრობამ გაზარდა ხელფასები სამეცნიერო ინსტიტუტებში, მაგრამ ესეც პირობითია, რადგან თუ ავიღებთ მათ ადრინდელ ხელფასებს, იგი იმდენად მცირე იყო, რომ 2-3 ჯერ მისი გაზრდა (რაც ნამდვილად შთამბეჭდავია) არ არის საკმარისი, თუმცა მთავრობის მხრიდან ეს მისასალმებელი ნაბიჯი გახლდათ.

ამ ეტაპზე ინტენსიურად ვმუშაობთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და ჩართული ვართ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების პროცესში, რითაც „კანონში უმაღლესი განათლების შესახებ“ და „მეცნიერების და ტექნოლოგიების შესახებ“ — შევა ცვლილება, რომლის საფუძველზეც მეცნიერ-თანამშრომლებს საუნივერსიტეტო სივრცეში ლეგალური სტატუსი მიეცემათ. ეს აქამდე ასე არ იყო, რადგან 2006 წლის რეფორმის შედეგად სამეცნიერო სექტორი საკმაოდ დიდი დარტყმის ქვეშ მოექცა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილებებში ჩვენმა უნივერსიტეტმა დიდი წვლილი შეიტანა და ბევრი მუხლი და პუნქტი სწორედ ჩვენი აქტიური თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა.

პოსტდოქტორანტურა

საქართველოს მთავრობამ დღეს დაიწყო ფიქრი პოსტდოქტორანტურის შექმნის შესახებ. სიამაყით ვაცხადებთ რომ ჩვენ პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი თითქმის ორი წლის წინ ჩამოვაყალიბეთ და პირველი

მე-8 გვერდზე



რექტორობის მეორე წელი

მეშვიდე გვერდიდან

ხუთი პოსტდოქტორანტიც გვყავს. მისი შექმნის მიზანი იყო: დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელი ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერა უნივერსიტეტისათვის აქტუალური კვლევის განხორციელებასა და აკადემიურ საქმიანობაში ჩართვის გზით. წელსაც ვაპირებთ კონკურსის გამოცხადებას 7 ადგილზე. იმ ახალგაზრდებს, რომლებიც წარმატებით დაიცვეს დისერტაცია, შესაძლებლობა აქვთ, წარმოადგინონ პროექტი და კონკურსის გავლის შედეგად განაგრძონ უნივერსიტეტში საქმიანობა, რასაც, ცხადია, უნივერსიტეტი დააფინანსებს.

დოქტორანტების ფინანსური მხარდაჭერა

მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიწყო წარმატებულ დოქტორანტთა დაფინანსება. საზოგადოებამ იცის, რომ თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტს აქვს სხვადასხვა ტიპის პროექტი, რომელზეც სწავლის საფასურიც შემცირებულია სხვა სტუდენტების მიერ მოტანილი გადასახადის ხარჯზე. ჩვენ საფუძველი ჩავუყარეთ ახალ ინიციატივას – ყველა ფაკულტეტიდან შეირჩეს არა უმეტეს 5 დოქტორანტისა, რომელთა სწავლის საფასურსაც დაფარავს უნივერსიტეტი იმ პირობის გათვალისწინებით, რომ დოქტორანტებს არ უნდა ჰქონდეთ დოქტორანტურაში სწავლის სხვა დაფინანსება; აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საუკეთესოს დოქტორანტის შერჩევის კრიტერიუმი ეფუძნება სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხსა და რაოდენობას.

გრანტები და პუბლიკაციები

- **Scopus-ის ბაზის მიხედვით, განვლილ პერიოდში თსუ-ის სახელით გამოქვეყნებულია 284 პუბლიკაცია.**
- **2014 წლის სექტემბრიდან 2015 წლის სექტემბრამდე თსუ-მ მოიპოვა 178 გრანტი, მათ შორის 14 საერთაშორისო.**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია

- **ქართველოლოგიის დარგში დაწესდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია, რომელიც გაიცემა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. ასევე გაიმართება იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.**

აღსანიშნავია, რომ ქართველოლოგიაში საერთაშორისო სამეცნიერო პრემიას ჩვენ თავიდანვე ჩავუყარეთ საფუძველი და ეს პრემია ორ წელიწადში ერთხელ მიენიჭება უცხოელ ქართველოლოგს, ხოლო გოგებაშვილის პრემია არის ქართველი ქართველოლოგი მეცნიერებისთვის.

ამ პრემიის დაარსების მიზანი იყო ქართველოლოგიური სამეცნიერო დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. პრემია მიენიჭება საქართველოს მოქალაქეს ქართველოლოგიურ სამეცნიერო დარგში შესრულებული ნაშრომისათვის. ამჟამად მიმდინარეობს კონკურსი. 27 ოქტომბერს გამოცხადდება გამარჯვებული. ასევე გაიმართება სამეცნიერო კონფერენცია ქართველოლოგიის დარგში.

ახალი ფაკულტეტი და სკოლა

უნივერსიტეტში ამოქმედდა ახალი ფაკულტეტი და სკოლა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს გამოეყო ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. წელს უკვე გვქონდა მიღება ამ ფაკულტეტზე და ჩვენი მოლოდინი ამ ფაკულტეტთან მიმართებაში გამართლდა — 5 ყველაზე პოპულარულ სპეციალობას შორის, რომლებიც ბაკალავრიატში ჩამბარებელმა აბიტურიენტებმა აირჩიეს, მოხვდა ფსიქოლოგიაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდები დაინტერესა ამ დარგის წინ წამოწევამ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია განათლების მეცნიერებები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოცდები და ჩარიცხვები მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში და ძალიან დიდი მოთხოვნაა სწორედ განათლების მეცნიერებების მიმართ.

ასევე აღსანიშნავია, რომ წელს გაიხსნა სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთობლივი საინჟინრო სკოლა. გარემონტდა ლაბორატორიები და 28 სექტემბრიდან დაიწყება ამ სკოლაში სწავლა. ეს არის ის, რაც ჩვენ ახალგაზრდებს მისცემს საერთაშორისო აღიარებას, რადგან ამ სკოლის კურსდამთავრებულები მიიღებენ როგორც ჩვენი უნივერსიტეტის, ასევე სან-დიეგოს უნივერსიტეტის დიპლომებს.

აქვე გაგიმხელთ, რომ პირადად მე დავიწყე გარკვეული შეხვედრები და გამოვხატე დაინტერესება, რომ, გარდა ბაკალავრიატისა, ამავე სკოლაში გაიხსნას სწავლების მეორე საფეხური — მაგისტრატურა და შემდეგ — დოქტორანტურა. ეს არის ჩემი ოპტიმისტური ხედვა. ასევე გამოთქვეს სურვილი სხვა უცხოურმა უნივერსიტეტებმაც, რომ ამ სკოლის ფორმატში მათთან ერთობლივი მაგისტრატურა გაიხსნას.

ახალი სასწავლო პროგრამები

საანგარიშო პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძალიან საინტერესო ახალი სასწავლო პროგრამა ამოქმედდა. ეს გახლავთ „ანტიკური ტექსტები ციფრული ჰუმანიტარიის კონტექსტში“. ამ პროგრამის ამოქმედებას ხელი შეუწყო იმან, რომ ჩვენი უნივერსიტეტი გახდა საერთაშორისო კონსორციუმის წევრი, რომელშიც შედიან ჰარვარდის, ლიონის, სან-პაოლოს, ლაიპციგის და სხვა წარმატებული უნივერსიტეტები. სასწავლო კურსი მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში. ეს არის, ასე ვთქვათ, პირველი მერცხალი ჩვენს უნივერსიტეტში.

აქვე უნდა ითქვას ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებაც, რომელთა შექმნაც უნივერსიტეტში უწყვეტი პროცესია. ამ წელს ამოქმედდა სადოქტორო პროგრამები: გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია, კულტურისა და მედიის სოციოლოგია და სხვ.

ასევე შეიქმნა სამაგისტრო პროგრამები: გენდერის კვლევა (ინგლისურენოვანი), ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები, და სხვ.

საბაკალავრო პროგრამები: მულტილინგვური განათლება (დაწყებითი განათლების საფეხური), რუსეთისმცოდნეობა.

სასწავლო ლიტერატურის თარგმნა

სასწავლო ლიტერატურის თარგმნა იმთავითვე პრიორიტეტული იყო ჩვენთვის. ჩვენი სტუდენტების განათლების დონე რომ დიდად არ ჩამორჩებოდეს მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტთა განათლების დონეს, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, სტუდენტებს მიეცეთ საერთაშორისო დონეზე აღიარებული სასწავლო ლიტერატურის ქართული თარგმანით სარგებლობის საშუალება. გასულ წელს მოპოვებულია 15 ლიცენზია, მათ შორის 2014 წლის სექტემბრიდან 2015 წლის სექტემბრამდე პერიოდში მოპოვებულია 6 ლიცენზია. ამჟამად უკვე გამოცემულია 2 სახელმძღვანელო (ორივე გამოსცა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა), 8 სახელმძღვანელოს გამოცემა იგეგმება მიმდინარე წლის დასასრულამდე.

სახელმძღვანელოების თარგმნაში ჩართულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ამ საქმიანობას აფინანსებს უნივერსიტეტი.

საბიბლიოთეკო ფონდის შევსება

ამ მიმართულებით ძალიან ბევრს ვმუშაობთ. ჩემი რექტორობის პირველ წელს შევიძინეთ 715 დასახელების 96 165,75 ლარის ღირებულების წიგნები, ხოლო საანგარიშო 2014-2015 სასწავლო წელს — კიდევ 3 506 დასახელების 252 341,7 ლარის ღირებულების წიგნები. რაოდენობრივი სხვაობა თვალშისაცემია და დაფინანსებაც გაზრდილია.

უნივერსიტეტმა გასულ წელს იყიდა მაღალი წარმადობის რობოტოსკანერი, რომლის მეშვეობითაც ხდება ლიტერატურის ციფრულ ფორმატში გადაყვანა და ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ატვირთვა: 2014-15 სასწავლო წელს დამუშავდა 441 წიგნი, მომზადდა 279 დისერტაციის ელექტრონული ვარიანტი. დიგიტალიზაციის ჯგუფის მიერ დასკანერდა საბიბლიოთეკო დოკუმენტების 168 817 გვერდი.

მიუხედავად ამ შედეგებისა, სტუდენტები მოითხოვენ უფრო მეტს განსაკუთრებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, რადგან ამ მიმართულებით მეტია ადრეულ წლებში გამოცემული წიგნების რაოდენობა, ამიტომ ამ კუთხით ინტენსიური მუშაობა კვლავ გაგრძელდება.

აქ ერთ კურიოზულ მდგომარეობაზეც მინდა გავამახვილო ყურადღება — აქამდე არსებული წიგნადი ფონდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადმოცემული არ ჰქონია. ანუ ეს წიგნები ჩვენი იყო და არც იყო. მოგეხსენებათ, სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით, სხვადასხვა სამართლებრივი აქტები გამოიცა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ამ პერიოდში მოხერხდა სარგებლობის უფლებით სრულად გადმოგვცემოდა 24 640 260 ლარის ღირებულების უნივერსიტეტში არსებული საბიბლიოთეკო ფონდი.

უნარშეზღუდულ სტუდენტთა დახმარება

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ბოლო დროს უნივერსიტეტმა განახორციელა: აშშ-ის საელჩოს დახმარებით, უნარშეზღუდულ ადამიანთა საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით, ბიბლიოთეკაში შეიქმნა აუდიოსტუდია, სადაც, ჩვენივე სტუდენტების დახმარებით, მზადდება სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიები მხედველობადაქვეითებული სტუდენტებისთვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების ხელშეწყობისა და მათი სრულფასოვანი განათლების მიღებისთვის.

ცვლილებები აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის წესში

ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის წესში:

- **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა მხოლოდ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალით, გათვალისწინებულია უცხოელი სპეციალისტების მოწვევის შესაძლებლობა;**

საკონკურსო კომისიასთან ერთად იქმნება საკონკურსო სააპელაციო კომისია

- **აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულის გამოვლენის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ფარული კენჭისყრის გზით.**

განსაკუთრებით უნდა გავამახვილო ყურადღება სააპელაციო კომისიის შექმნის ფაქტზე. ყველამ იცის, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როცა კონკურსის მონაწილე მიდიოდა სასამართლოში აკადემიური კონკურსის შედეგების გასაპროტესტებლად. სააპელაციო კომისიის შექმნა იმას ნიშნავს, რომ, თუ შენ უკმაყოფილო ხარ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, შეგიძლია მიმართო სააპელაციო კომისიას და, თუ მისი შედეგებიც არ დაგაკმაყოფილებს, შემდეგ წახვიდე სასამართლოში. უნდა ითქვას, რომ ეს კომისია საკმაოდ საინტერესო ინსტიტუტი აღმოჩნდა. ჩვენ მალე განვიხილავთ აკადემიური საბჭოზე საკითხს, როცა სააპელაციო კომისია არ იზიარებს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას. ვფიქრობთ, ესეც საინტერესო პრეცედენტია,

მე-9 გვერდზე

რექტორობის მეორე წელი

მერვე გვერდიდან

მით უფრო, რომ სააპელაციო და საკონკურსო კომისია აბსოლუტურად სხვადასხვა შემადგენლობისაა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საკონკურსო კომისიები გადავიდნენ ფარულ კენჭისყრაზე. აქამდე კონკურსის დროს კენჭისყრა ღია იყო. სამწუხაროდ, კომისიის სხდომებიდან გამოდიოდა ინფორმაცია, ვინ ვის მისცა ხმა და ამას უსიამოვნო შედეგები მოჰყვებოდა. ამ ცვლილებით — ფარული კენჭისყრის შემოღებით, ჩვენ ობიექტურობის მეტი შესაძლებლობა გვექნება. ამასთან, კომისიის ერთ წევრს ახალი რეგულაციით იმდენი ხმა აქვს, რამდენი ვაკანსიაცაა აკადემიურ თანამდებობებზე.

ჩატარებული აკადემიური კონკურსების შედეგები

- **კონკურსის წესით აკადემიური თანამდებობა დაიკავა 44 პირმა, აქედან: 8 პროფესორია, 18 — ასოცირებული პროფესორი, 18 — ასისტენტ-პროფესორი;**
- **15-მა პირმა ახალი აკადემიური თანამდებობა ახალი ვადით დაიკავა;**
- **11-მა პირმა იგივე აკადემიური თანამდებობა ახალი ვადით დაიკავა;**
- **6-მა პირმა აკადემიური თანამდებობა პირველად დაიკავა;**
- **12-მა პირმა გარკვეული წყვეტის შემდეგ აკადემიური თანამდებობა კვლავ დაიკავა.**

ეს სტატისტიკა აჩვენებს მრავალფეროვნებას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში როგორც მოქმედ პროფესურას აქვს მოღვაწეობის და დაწინაურების შესაძლებლობა, ასევე შეუძლიათ თავიანთ საქმეს დაუბრუნდნენ ის პროფესორები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო ჩამოშორდნენ უნივერსიტეტს.

განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილ თანამშრომელთა მხარდაჭერა

- **თსუ-ის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტმა შეიტანა დამატება უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონში (მუხლი 40, პუნქტი 7), რომლის თანახმად უნივერსიტეტებს მიეცათ შესაძლებლობა უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილ თანამშრომელთათვის სხვა ეკონომიკური შემოსავლებიდან მიეცათ გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა.**

- **მიღებულია შესაბამისი დებულება, რომელიც 2016 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში**

განსაკუთრებული დამსახურების მქონე უნივერსიტეტელების მხარდაჭერა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია უნივერსიტეტისთვის. შარშან ჩვენი უნივერსიტეტი გამოვიდა ინიციატივით და საკანონმდებლო წინადადებით მივმართეთ პარლამენტს, რომ ე.წ. სხვა ეკონომიკური შემოსავლებიდან მოგვცემოდა უნივერსიტეტიდან გაშვებული პროფესორ-მასწავლებლების დახმარების შესაძლებლობა მათი სოციალური მხარდაჭერისათვის. ეს არ იყო პარლამენტში ადვილი გასატანი საკითხი, რადგან ბევრი მოწინააღმდეგე გაჩნდა, მაგრამ ძალიან დიდი მხარდაჭერა გვქონდა განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, აკადემიკოს ვანო კიღურაძის მხრიდან. რამდენიმე თვიანი განხილვის შედეგად, პარლამენტმა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ეს ცვლილება მიიღო, რაც ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას, ჩვენი მოკრძალებული შესაძლებლობის პირობებში, სოციალური დახმარება გავუწიოთ ასეთ ადამიანებს.

ამისთვის ჩვენ შევიმუშავეთ გარკვეული ინსტრუქცია, რომლის შემუშავებაშიც გვეხმარებოდა მრჩეველთა საბჭო, შემდეგ მისმა განხილვამ გადაინაცვლა სხვადასხვა სტრუქტურაში, საბოლოოდ კი დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ და სენატმა.

გვინდოდა, რომ ეს ინსტრუმენტი მეოთხე კვარტლიდან აგვემუშავებინა, მაგრამ გაჩნდა რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი, მათ შორის, პირველი — 13 ივნისის კატასტროფის შედეგად დაინგრა მეტეოროლოგიური ლაბორატორია და მის აღდგენაში, სახელმწიფო დახმარებასთან ერთად, უნივერსიტეტსაც მოუწევს თანხის გაღება და მეორე — ჩვენს ხარჯებზე გავლენა მოახდინა ლარის კურსის ცვლილებამ, რომელმაც ჩვენი ძალიან ბევრი საქმიანობა გააძვირა — მაგალითად, იგივე ლიტერატურის შეძენა, ლიცენზიის შეძენა, სამივლინებო თანხები, უცხოელი პროფესორისა და სტუდენტების ჩამოსვლა და ა.შ.

ამიტომ დებულების საფუძველზე გადაწყდა, რომ განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილ თანამშრომელთა მხარდაჭერის შესახებ დადგენილება ძალაში შევიდეს 2016 წლის 1 იანვრიდან და მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას შესაბამისი თანხა.

თანხის გადანაწილების საკითხში რექტორი არ ჩაერთვება. ჩემი ამოცანა იყო, დამესვა საკითხი პარლამენტის განათლების კომიტეტის წინაშე. სოციალური დახმარების გაწევა კი მოხდება სპეციალური კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც კომპეტენტური და ნდობით აღჭურვილი ადამიანებით დაკომპლექტდება.

საერთაშორისო ურთიერთობები

უნივერსიტეტი გამორჩეულია საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისითაც. ამ მიმართებით:

- **უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გავაფორმეთ 48 ხელშეკრულება, მათ შორის ერასმუს პლუსის ფარგლებში 15 ხელშეკრულება;**
- **ორმხრივი თანამშრომლობის და ერასმუს მუნდუსის პროექტის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში ისწავლა თსუ-ს 118 სტუდენტმა;**
- **50-მდე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობდა საერთაშორისო პროექტებში (ერასმუს მუნდუსი, მარი კიური, ბასერკანი);**
- **გაცვლითი პროგრამებით თსუ-ში სასწავლო კურსები გაიარა 37-მა უცხოელმა სტუდენტმა ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან.**

სახელმწიფოსთან ურთიერთობა

სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთან ურთიერთობას. ამ ურთიერთობის ფარგლებში უნივერსიტეტს საანგარიშო პერიოდში სარგებლობის უფლებით გადმოეცა საკადასტრო კოდზე რიცხული 5 ობიექტი, მათ შორის, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ახლა ჩვენი ამოცანაა, მოვიძიოთ სახსრები ამ შენობების, განსაკუთრებით კულტურული ძეგლის, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, გასარემონტებლად, რადგან იგი სავალალო მდგომარეობაშია. სანამ გადმოგვეცემოდა ეს შენობა, ჩვენ ამის უფლება არ გვქონდა.

უნივერსიტეტმა მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია თავისი ინტერესების გასატარებლად. მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტის საბურთალოს კამპუსზე მუდმივად დიდი შემოტევაა. ერთ-ერთი ასეთი შემოტევა დაიწყო ერთი წლის წინ თსუ-ის X კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობა იყო დაგეგმილი. ჩვენი პრინციპული პოზიცია იყო, რომ უნივერსიტეტის კორპუსების გვერდით არ განთავსებულიყო სტუდენტებისთვის საფრთხის შემცველი დაწესებულება. ამ საკითხის მოსაგვარებლად, ჩვენი განცხადებების და მოთხოვნების პარალელურად, დაიწყო საპროტესტო აქციები, რომელიც სტუდენტთა დიდი თანადგომით განხორციელდა და დიდი მადლობა ამისთვის მათ. შედეგად თსუ-ის X (მაღლივი) კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის ნაცვლად მრავალფუნქციური კომპლექსი აშენდება, სადაც განთავსდება საცხოვრებელი ბინები და კომერციული დაწესებულებები.

ინფრასტუქტურის დაფინანსება

საანგარიშო წელს მოხერხდა სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურის დაფინანსება. უკვე აისახა ჩვენს ბალანსზე თანხა, რომლის მეშვეობითაც სარემონტო სამუშაოებისთვის გამოიყო:

- **მე-3 სასწავლო კორპუსი — 0,9 მლნ ლარზე მეტი;**
- **მედიცინის ფაკულტეტი — 1,5 მლნ ლარზე მეტი;**
- **ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი — 1,7 მლნ ლარზე მეტი;**
- **ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა — 0,6 მლნ ლარზე მეტი;**
- **პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი — 0,4 მლნ ლარზე მეტი;**
- **რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი — 0,7 მლნ ლარზე მეტი.**

წელსვე ვმუშაობთ თანხის გამოყოფაზე, რომლითაც II კორპუსის პერიმეტრის რემონტს დავიწყებთ. მოგეხსენებათ, ამ კორპუსის მთლიანი რემონტი შეუძლებელია, რადგან ძალზედ ძვირია – 47 მილიონ ლარს აჭარბებს. ამხელა თანხას უნივერსიტეტს ერთჯერადად არავინ მისცემს, მაგრამ მილიონნახევარი ლარის ფარგლებში გვინდა ფანჯრების შეცვლა მთელ პერიმეტრზე და ფასადის გარემონტება. ამის შემდეგ კი უკვე მომდევნო ეტაპზე გადავალთ და მისთვის საჭირო თანხების მოძიებაზეც ვიზრუნებთ.

საპრეზიდენტო დაფინანსება

მიმდინარე წელს ჩვენ გვქონდა საპრეზიდენტო დაფინანსებაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ფონდიდან მიღებული თანხიდან (სულ 347 838 ლარი) ჩვენ დავაფინანსეთ ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (60 ათასი ლარი). აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გვაქვს შეპირება, რომ ეს თანხა (60 ათასი ლარი) ყოველწლიურად გადმოგვეცემა.

ასევე დაფინანსდა საპილოტე პროექტი „ვისწავლოთ ქართულად“ (215 ათას ლარზე მეტი). აქ საუბარია არაქართულენოვან რეგიონებში ქართულის სწავლაზე. თქვენთვის ცნობილია, რომ პარლამენტმა მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. 2014 წლის დეკემბერში შეიკრიბა ჩვენი პროფესურა და განცხადებით მივმართეთ პარლამენტს ამ კანონის მიღების აუცილებლობის თაობაზე. განცხადების ბოლოს მიწერილი იყო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს სახელმწიფო ენის სწავლების პროცესში. ამ ბოლო ჩანაწერის გამო პრეზიდენტის ფონდიდან ორ ეტაპად გამოიყო თანხა, რომლითაც ეთნიკური აზერბაიჯანელებით და სომხებით დასახლებულ რეგიონებში ჩვენი უნივერსიტეტიდან

მე-10 გვერდზე

რექტორობის მეორე წელი

მეცხრე გვერდიდან

წავიდნენ ქართული ენის მასწავლებლები, რომლებმაც იმუშავეს ადგილობრივ მოსახლეობასთან. სხვათაშორის, ხაზი უნდა გაესვას ასაკობრივ სტრუქტურას — სწავლის პროცესში ჩართული იყვნენ ბავშვებიც და 60 წელს გადაცილებული ადამიანებიც.

ოფიციალური სიმბოლიკა

გასულ წელს უნივერსიტეტმა მიიღო ოფიციალური სიმბოლიკა – გერბი და დროშა. გერბს საფუძვლად დაედო დიმიტრი შევარდნაძის მიერ ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით შემუშავებული ბეჭედი, რომლის ესკიზიც 1918 წლის 5 თებერვალს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მე-4 სხდომაზე დამტკიცდა.

ასევე თსუ-ის სენატმა დაამტკიცა დროშა, რომლის ლურჯ ველზე დატანილია გერბის ძირითადი ფრაგმენტი.

უკვდავყოფის კომისიის გადაწყვეტილებები

გასულ წელს უნივერსიტეტის ეზოში დაიდგა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული თსუ-ის სტუდენტთა და თანამშრომელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი.

ასევე ეზოში დაიდგა თსუ-ის დამაარსებლების იოსებ ყიფშიძისა და ექვთიმე თაყაიშვილის, პირველი კორპუსის ხუროთმოძღვრის სვიმონ კლდიაშვილის ბიუსტები.

პირველ კორპუსში გაიხსნა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელობის დარბაზი.

პირველ კორპუსში განთავსდა აკაკი შანიძის, იოსებ ყიფშიძის, ივანე ბერიტაშვილის, ილია ვეკუას, ნიკო მუსხელიშვილის, იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის ბიუსტები.

თსუ-ის უმაღლესი ჯილდო

8 თებერვალს, უნივერსიტეტის დაარსების დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის №20 ბრძანებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაჯილდოვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

რექტორის ანგარიშის შეფასებები:

მარიამ ლორთქიფანიძე,
აკადემიკოსი, თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი:

— ძალიან დიდი სამუშაოა გაწეული და ამავე დროს ჩანს, რომ ძველსაც პატივით ეპყრობიან, რისთვისაც მადლობა უნდა ვუთხრათ უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციას.

თამარ დოლბაია,
თსუ-ის პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ძალიან შთამბეჭდავი და ფაქტებზე დაყრდნობილი ანგარიში გახლდათ. ერთი საათი მხოლოდ გაკეთებულ საქმეზე საუბარი, საკმაოდ მნიშვნელოვანი აქცენტებით, არაა ლიტონი სიტყვები. სანამ საუნივერსიტეტო სივრცეში არის პროფესორებისა და მკვლევრების ჯგუფი, რომლებიც ქართული უნივერსიტეტის იდეას მსახურებს, წინსვლა ყოველთვის იქნება. ამ ანგარიშიდან აშკარაა, რომ უნივერსიტეტი ახალ სიმაღლეებზე ავიდა საერთაშორისო მასშტაბითაც და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც.

ლევან ალექსიძე,
თსუ-ის ვიცე-რექტორი:

— მე ამ გუნდის ერთერთი წევრი ვარ, რომელიც მუშაობს ამ საკითხებზე და შემიძლია ვთქვა, რომ გვაქვს მიღწევები. ასე უცებ შეაღწიო საერთაშორისო სერეიტინგო სისტემაში და ანგარიშგასაწევი ადგილი მოიპოვო, არც ისე იოლია. ნელ-ნელა ქვა ქვაზე იდება და ამ ორ წელიწადში ბევრი რამის გაკეთება გახდა შესაძლებელი.

ზურაბ გაიპარაშვილი,
თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:

— ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტის საქმიანობაში წინსვლა ნამდვილად არის და ამ ანგარიშში ეს აისახა. როცა ასეთი მწირი საბიუჯეტო დაფინანსების პირობებში ახერხებ, რომ წინ წახვიდე, ეს ძალიან იმედის მომცემი და სასიხარულოა.

რექტორის ინიციატივა

თსუ-ში სტუდენტთა მომსახურების სისტემის რეფორმა იწყება

პირველი გვერდიდან

ვინმე დაინტერესებული პირი, მასთანაც აუცილებლად ვითანამშრომლებთ. გვინდა, რომ 2 თვის შემდეგ ჩვენ გვქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა — რას გავაკეთებთ იმისათვის, რომ ეს სტრუქტურა გავხადოთ მობილური, რათა უნივერსიტეტში სტუდენტების მიმართ არ იყოს უხეშობა, გულგრილი დამოკიდებულება, უპასუხისმგებლობა. არ მოვერიდები არავის სამსახურიდან გაშვებას. ჩვენ ჩავატარებთ რეფორმას, შევქმნით ახალ სტრუქტურას და შემდეგ ჩამოვყალიბდებით, თუ როგორ შევარჩიოთ კადრები. ამას ხმამაღლა დღეს პირველად ვამბობ, პირველად ისმენენ სტუდენტები და დეკანებიც. აღარ შეიძლება ასე გაგრძელება — ილანძღებოდეს ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი ან უხეშობდნენ ტუტორები... ვისაც არ აქვს ნებისყოფა, სათანადო მომზადება და კულტურა, მისი ადგილი ამ უნივერსიტეტში არ არის. ამ რეორგანიზაციით გვინდა რამდენიმე საკითხის გადაწყვეტა, პირველი და უმთავრესი არის, რომ სტუდენტთა მომსახურების ცენტრი კვალიფიციური, ზრდილობიანი ხალხით დაკომპლექტდეს და, პიკური მდგომარეობის დროს, რაც ყოველი სემესტრის დასაწყისშია, ყველამ თავისი მოვალეობა ღირსეულად შეასრულოს.

სამუშაო ჯგუფი ელოდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან წინადადებებს სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. კომისია გაითვალისწინებს ყველაფერს, რაც ვითარების გაუმჯობესებისთვის ღირებული იქნება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

შეხვედრას, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნული ინფორმაცია პირველად გაახმიანა, ყველა ფაკულტეტის დეკანი და ცენტრალური ადმინისტრაციის დეპარტამენტების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. აქტუალური საკითხების წამოჭრა-გაანალიზება კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა — ისაუბრეს აკადემიური რეგისტრაციის დროს წამოჭრილი პრობლემების, აკადემიური პერსონალის დისციპლინის საკითხების, ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ და ა.შ.

თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და სტუდენტების შესახებ ვრცელ ინფორმაციას გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

„ეს არის საქართველო“

მაია ტორაძე

„სადღაც უნდა მეთქვა: ყოველი წვეთი სისხლისა, საქართველოს დედულ-მამულისათვის დანთხეული, მზის სხივად ესხმოდა საქართველოს მიწას. ახლა ვამბობ: საქართველო დაჭრილი მზეა (გაზოფენის მოწმობით მითოლოგიაში ცნობილია ვნეგული მზე, „დაჭრილი მზე“, მაგრამ მაინც მზე). აქედან: მისი ხალისი, ხალისი მაინც: და ასე უფრო ძალაყრილი. ნიცშეს სიტყვა: „რაც ვერ მძლევს, მხდის უფრო ძლიერს“ — საქართველოზე თუა აღმოჭრილი!“

გრიგოლ რობაქიძე,
მწიფობის თვე 1962 წლისა, ქ. ჟენევა

ეს სიტყვები წარუმძღვარებია რედაქტორს – რეზო ჩხეიძეს წიგნისთვის, რომელშიც მთელი საქართველო ჩატეულა — მთებად, ტბებად, ტყეებად, მდინარეებად ქცეულა და პოეზიის მარგალიტებიც თან უახლია.

სახელიც ასეთივე დაურქმევიათ მისთვის — „ეს არის საქართველო“.

გადაშლი თუ არა წიგნს, იწყებ მოგზაურობას ქვეყანაში, რომლისთვისაც განგებას მხატვრის პალიტრის ფერადოვნება მიუმადლებია. აქ ამოიკითხავ ყველაფერს, რაც კი საქართველოს უკავშირდება — ისტორიულ, გეოგრაფიულ, გეოლოგიურ, კულტურულ, ლიტერატურულ ცნობებს, რომელიც სცილდება პუბლიცისტურ ჩარჩოებს და მეცნიერულად ასაბუთებს, რომ რაც საქართველოს შესახებ პოეტებს უმღერიათ და მხატვრებს დაუხატავთ — აბსოლუტური რეალობაა და არა პოეზია.

წიგნის ავტორი დიდი მეცნიერი, მოგზაური და ხელოვანი არნოლდ გეგეჭკორია. როგორც კი ამ სახელს ამოიკითხავს მკითხველი, უცილოდ გაახსენდება პოეტად დაბადებული ადამიანის თვალით დანახული საქართველო და მსოფლიო, მისი ფოტოებიდან გადმოღვრილი ვაჟა და გალაკტიონი, ანა და მუხრანი... გაახსენდება და მოლოდინიც შეიპყრობს — იმ 42 წიგნიდან, რომელიც არნოლდ გეგეჭკორს გამოუცია, ყველა ისეთი ინტერესით იკითხება, რომ ახალი წიგნიც საქართველოს გაცნობის მაგიით უნდა იყოს შეპყრობილი.

ასეც არის.

ეს არის წიგნი, რომლის მასალებსაც ავტორი მთელი ცხოვრება აგროვებდა. თავადაც ამას ამბობს – ახლა რომ ჩაიფიქროს კაცმა – მოდი, ხვალიდან დავიწყებ და შევქმნი წიგნს საქართველოს შესახებო, არ გამოვა, რადგან ამ წიგნში არის ის, რისთვისაც თითქმის ხუთი ათეული წელი დამჭირდაო.

წიგნი-ალბომი „ეს არის საქართველო“ სამ კომპონენტს აერთიანებს: სამეცნიერო, მხატვრული-პუბლიცისტური და ფოტოგრაფია; წიგნი ორენოვანია (ქართულ-ინგლისური) და დართული აქვს საქართველოში არსებული ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთა ლათინური სახელწოდებები.

იგი გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა. რედაქტორი კი გახლავთ კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, რომელსაც სულ ორი თვე დააკლდა, რომ საკუთარი თვალით ენახა წიგნი, რომლის კინოდ გადაღებასაც აპირებდა.

„დიახ, საქართველო დედამიწის რუკაზე ერთი პატარა წერტილია, მაგრამ სულ ცოტა, სამიათასწლოვანი ისტორიით, ენით, საკუთარი დამწერლობით, კულტურის ძეგლებით, მრავალფეროვანი ბუნებით გამორჩეული ქვეყანაა“, - წერს რეზო ჩხეიძე წინასიტყვაობაში და იქვე აღნიშნავს, რომ არნოლდ გეგეჭკორის თვალს არ გამოჰპარვია საქართველოს არც ერთი კუთხე, პეიზაჟი, ამ კუთხეების შვილთა პორტრეტები.

წიგნში ავტორისეული ხედვითაა დასურათხატებული ტრიადა „მამული, ენა სარწმუნოება“. შესავალ ნაწილში „იცნობდეთ, ეს საქართველოა“, მეცნიერი არნოლდ გეგეჭკორი მიმოიხილავს კავკასიის წარმოშობის გეოლოგიურ და გეოგრაფიულ ასპექტებს, ამ ტერიტორიაზე საქართველოს ადგილს, მის ბიომრავალფეროვნებას, მითებსა და რეალობას, ისტორიულ წარსულს, დიდ ქართველთა სახეებს. ავტორი აქვე აანალიზებს, რატომ უწოდა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა და ანთროპოლოგიის მამამ იოჰან ბლუმენბახმა თეთრკანიან რასას „კავკასოიდური“ და რა კავშირშია ამასთან „მშვენიერი ქართველი ქალის თავის ქალა“. ყველა მოსაზრება და ინფორმაცია, რომელიც ამ წიგნშია თავმოყრილი, მეცნიერულადაა გამყარებული, რადგან ბატონი არნოლდი ლიტონი სიტყვების და ცარიელი პოეზიის მომხრე არაა: „რაც უნდა პუბლიცისტურად წერო, საჭიროა ყველაფერს, თავისი მეცნიერული საფუძველი ჰქონდეს“, — ამბობს იგი და წიგნის კითხვისას რწმუნდები, რომ მის ავტორში შერწყმულია ხელოვანის და მეცნიერის მახვილი თვალი.

წიგნში ნაჩვენებია ქართული ანბანის სინატიფე. აქ უკვე ფოტოგრაფ არნოლდ გეგეჭკორს საკუთარ აივანზე ამოზრდილი ვაზის რქებით დაუხატავს ვაზის სიმფონია, რომელიც საოცარი სიზუსტით იმეორებს ქართული ანბანის მოხაზულობას. ეს მკვეთრი მსგავსება კი მას ფოტოებზე გადაუტანია.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბატონი არნოლდის მიერ საქართველოზე დანერილ ამ ნაშრომში მთავარი მის მიერ ნაჩვენები ფოტოსიმფონიაა ქართულ მთა-ბარზე, ტაძრებსა და ადამიანებზე. აქ თითო ფოტო ხელოვნების ნიმუშია, რომელსაც თან ახლავს პოეტური სტრიქონები. იმ სამი კომპონენტის (სამეცნიერო, მხატვრული-პუბლიცისტური და ფოტოგრაფია) ერთიანობაზე კი ავტორი ამბობს, რომ ეს ბუნებრივია — როცა ველზე გადიხარ სამეცნიერო სამუშაოებისთვის, ხვდები ათასგვარ სილამაზეს და გინდა ვიღაცას გაუზიარო შენი აზრი, გაზიარება კი როგორ ხდება? სიტყვით (პოეზიით) და ფოტოს მეშვეობით... და სწორედ ეს სამი ელემენტი ქმნის იმ ერთიანობას წიგნში „ეს არის საქართველო“, რომელსაც მკითხველი ერთი ამოსუნთქვით აღიქვამს.

წიგნის პრეზენტაცია პირველ რიგში გერმანიაში გაიმართება და მას საქართველოს ელჩი ლადო ჭანტურია გააცნობს გერმანელებს, რადგან მისი ამ ფორმით გამოცემის იდეა სწორედ გერმანიაში – ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე, ბატონი ლადოს ინიციატივით დაიბადა, შემდეგ უკვე თსუ-ის პროფესორი და ინგლისში საქართველოს ელჩი რევაზ გაჩეჩილაძე გააცნობს საქართველოს ინგლისელებს. ქართველი მკითხველი მას მოგვიანებით იხილავს, თუმცა ეს არაფერი – მთავარია წიგნმა დღის სინათლე იხილა და ქართველ თუ არაქართველ მკითხველს მეცნიერული სიზუსტითა და საოცარი პოეტურობით დაანახებს, რა არის საქართველო.



ახალი სამაგისტრო პროგრამა სამედიცინო ფიზიკაში

მიმდინარე წლის ივლისში ინდიანაპოლისში ჩატარებულ სამეცნიერო კონგრესზე ამერიკის ჯანმრთელობის ფიზიკის საზოგადოებამ საერთაშორისო კოლაბორაციის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე თსუ-ს ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს ლიკა ჭელიძეს მიანიჭა უილიამ მორგანის (ამერიკის ბირთვული კანონმდებლობის ფუძემდებელი) პრემია, რომელიც ერთერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა ჯანმრთელობის ფიზიკის დარგში

ქალბატონი ლიკა არის საქართველოს ჯანმრთელობის ფიზიკის ასოციაციის ხელმძღვანელი. მას ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება აქვს. იგი წლების განმავლობაში უწევდა კოორდინირებას ბირთვული გაუვრცელებლობის საერთაშორისო პროცესებს საქართველოში, ასრულებდა ეროვნული პასუხისმგებელი პირის მოვალეობას საქართველოსა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) შორის.

მაია ტორაძე

ლიკა ჭელიძე შეერთებულ შტატებში მიწვეული იყო ლექციების წასაკითხად, ხოლო კონგრესზე მისი მოხსენება ეხებოდა ჯანმრთელობის და სამედიცინო ფიზიკის სპეციალისტთა კადრების აღზრდის სამომავლო ტენდენციებს საქართველოში.

სამედიცინო ფიზიკა უახლესი სამეცნიერო დარგია, რომელიც აერთიანებს ფიზიკის, მედიცინის, კომპიუტერული მეცნიერებების უახლეს მიღწევებს და მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურზე. ბოლო დროს მსოფლიოში, და საქართველოშიც, არაერთი სხივური თერაპიისა და ბირთვული მედიცინის განყოფილება გაიხსნა, სადაც სწორედ სამედიცინო ფიზიკის სპეციალისტები უნდა დასაქმდნენ.

სამედიცინო ფიზიკოსების დასაქმების სფეროებია: სამედიცინო კლინიკები, სამედიცინო ორგანიზაციები, მარეგულირებელი ინსტიტუციები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, ექსპერტიზის ლაბორატორიები, საერთაშორისო და ეროვნული გარემოსდაცვითი სააგენტოები, კერძო კომპანიები, სამხედრო დანიშნულების ობიექტები.

გამომდინარე არსებული მოთხოვნილებებიდან, ამ დარგის სპეციალისტებზე და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალზე დაყრდნობით, თსუ-ში დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები სამედიცინო ფიზიკისა და ჯანმრთელობის ფიზიკის დარგში სპეციალისტების მომზადებისათვის პირობების შესაქმნელად. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია:

ა) შესაფერისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვა სამაგისტრო დონის სასწავლო პროგრამის შესაქმნელად,

ბ) უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება,

გ) ჩართული იქნება ადგილობრივი რესურსები: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი, თოდუას ცენტრი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი;

დ) მზადდება ინგლისურენოვანი პროგრამა, რათა მოხდეს უცხოელი სტუდენტების მოზიდვა

გ) განხორციელდება არსებული კონტაქტების გამოყენება: დუბნას ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტთან (რუსეთი), რიურიხის ცენტრთან (გერმანია) და აიდაჰოს უნივერსიტეტთან (აშშ);

დ) სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება რადიაციული ტექნიკა, ზოგადი და სამედიცინო პროფილის დოზიმეტრები, რადიოიზოტოპური ხელსაწყოები, მაიონიზირებელი გამოსხივების გენერატორები.

ე) ჯანმრთელობის და სამედიცინო ფიზიკას აქვთ საერთო დისციპლინები, ჯანმრთელობის ფიზიკა ემსახურება ადამიანის და გარემოს დაცვას მაიონიზირებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან, ხოლო სამედიცინო ფიზიკოსი მენეჯმენტს უწევს სამედიცინო სფეროში სამკურნალო და დიაგნოსტიკური მიზნით ბირთვული ტექნოლოგიების გამოყენებას.

ვ) მათ განკარგულებაში იქნება თსუ და ფიზიკის ინსტიტუტის სასწავლო — სამეცნიერო ლაბორატორიები, თოდუას ცენტრის ბაზაზე გაივლიან მაღალ ტექნოლოგიებთან მუშაობის პრაქტიკას, მათ შორის პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიით, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით, კომპიუტერული ტომოგრაფიით და სხვა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინტერდისციპლინარული სასწავლო პროგრამის შედგენა, კადრების მოძიება, რომელიც არსებული წესების თანახმად, წარდგენილი იქნება სამეცნიერო საბჭოებზე. მოსამზადებელ სამუშაოებში უნივერსიტეტს დახმარებას უწევენ უცხოელი კოლეგები და უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები. მიმდინარეობს ასევე მუშაობა შესაბამისი ლიტერატურის მოძიებაზე და პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, აუცილებელი მასალების თარგმნა დაიწყება.

პროგრამის ხელმძღვანელთა თქმით, სამაგისტრო პროგრამა აიგება იმის გათვალისწინებით, რომ პოტენციური სტუდენტი შეიძლება გახდეს არამარტო ფიზიკის ბაკალავრი, არამედ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის, ტექნიკური მეცნიერებების და სამედიცინო ფაკულტეტების კურსდამთავრებული.

მოიაზრება რომ ეს პროგრამა დაინტერესებს უცხოელ სტუდენტებსაც და ამასთან დაკავშირებით პროგრამა ისეა აგებული, რომ, საჭიროების შემთხვევაში, უცხოელი სტუდენტების მიღებაც იქნება შესაძლებელი.



ქართველოლოგიური სექციები მედიევისტთა მსოფლიო კონგრესზე

2015 *წლის 5-9 ივლისს ლიდსში, დიდ ბრიტანეთში გაიმართა მედიევისტთა მსოფლიო კონგრესი, რომელზეც ორი ქართველოლოგიური სექცია მუშაობდა. მასში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველოლოგები საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებიდან. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მსოფლიო კონგრესზე საკუთრივ ქართველოლოგიურმა ორმა სექციამ იმუშავა.*

ქართველოლოგიური სექციების ორგანიზება უაღრესად პრესტიჟულ, ტრადიციულ მსოფლიო კონგრესზე განპირობებული იყო იმ დიდი სიახლით ევროპული ლიტერატურის ისტორიაში, რაც უკანასკნელი წლების ქართველოლოგიური კვლევების საფუძველზე პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ გამოავლინა. კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ნაცნობი იყო XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის უმაღლესი ლიტერატურული წრეებისთვის. უილიამ შექსპირის უშუალო მემკვიდრეების ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის ორი პიესა „ფილასტერი“ და „მეფე და არა მეფე“ შექმნილია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის გადამუშავებით. უფრო მეტიც, სწორედ „ვეფხისტყაოსანია“ უილიამ შექსპირის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი და ე.წ. „პრობლემური“ პიესის ციმბელინის სიუჟეტური წყარო. ამ კვლევის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა მონოგრაფიის სახით „რუსთაველის ვეფხისტყაოსანი და ევროპული ლიტერატურა, / Rustaveli's The Man in the Panther Skin and European Literature ლონდონში 2011 წელს. წიგნი დაიბეჭდა ბენეტ და ბლუმის პრესტიჟულ გამომცემლობაში და უაღრესად დადებითი შეფასებები მოჰყვა უცხოელი მკვლევარებისგან (ბერტ ბეინენი, ანტონი ბრაიერი, ტონი ანდერსონი და სხვები). ქართველოლოგიური მეცნიერებისა და ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის თვალსაზრისით ამ დიდი სიახლის საფუძველზე, მსოფლიო კონგრესზე საკუთრივ ქართველოლოგიური სექციების ორგანიზების იდეა სწორედ ამ უცხოელი მეცნიერების ინიციატივით მოხდა.

ამ პრობლემის შემდგომი კვლევისთვის ქართველოლოგიური სკოლის ფონდმა 2013 წელს მოიპოვა დაფინანსება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად მუშაობა ორი მიმართულებით ხორციელდება. ტარდება ყოველკვირეული სემინარები პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის თაოსნობით, სადაც ხდება ახალი მასალების მოძიება-გაცნობა. სემინარის მუშაობაში ჩართულია ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფი, რომელიც შედგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტებისგან და მაგისტრანტებისგან. აღნიშნული ჯგუფი დაინტერესებულია ასევე ამ სიახლის პოპულარიზებით უცხოეთის სამეცნიერო წრეებში. სწორედ ამ მიზნით, 2014 წლის მაისში ამერიკაში მედიევისტთა 49 საერთაშორისო მსოფლიო კონგრესზე პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ წარადგინა მოხსენება სათაურით: „შექსპირის ციმბელინის უცნობი წყარო - რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. 2014 წლის დეკემბერში პოლონეთში, ვარშავის უნივერსიტეტში წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის მე-12 საერთაშორისო კავკასიოლოგთა კონფერენციაზე მოხსენება „რუსთველოლოგიური მეცნიერების დიდი სიახლე — „ვეფხისტყაოსანი“ XVII საუკუნის ინგლისური დრამატურგიის სიუჟეტური წყარო“ წარადგინა პროექტის მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერმა თამთა გრიგოლიამ პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძესთან თანაავტორობით. მოხსენება სტატიის სახით დაიბეჭდა კონფერენციის მასალებში (Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. #25, 2015. University of Warsaw. ISSN: 1230-1604). სწორედ ამ კვლევის და ზოგადად ქართული ლიტერატურისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის ორგანიზებითა და თაოსნობით 2015 წლის ივლისში უაღრესად პრესტიჟულ მედიევისტთა მსოფლიო კონგრესზე ლიდსში, დიდ ბრიტანეთში პირველად დაიგეგმა ორი ქართველოლოგიური სექცია: „შუა საუკუნეების ქართული კულტურა“ და „შოთა რუსთაველი — XII საუკუნის ქართველი პოეტი და მოაზროვნე“.

დოქტორანტი
სოფიო გულიაშვილი

პროფესორი
დონალდ რეიფილდი

პროფესორი
გაგა შურღაია

დოქტორანტი
ირმა მაკარაძე


პროფესორი
ლუიჯი მაგარიტტო

ბერტ ბეინენი


პროფესორი
ელგუჯა ხინთიბიძე

სექციის — „შუა საუკუნეების ქართული კულტურა“ — შეჯამება

გარდა ქართველოლოგიური სექციებისა, კონგრესზე მოხსენებებით წარდგნენ მედიევისტები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. თსუ-ის პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა წაიკითხა მოხსენება „დავით აღმაშენებელი შუა საუკუნეების და თანამედროვე ნარატივში“. ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის (თსუ) თანამშრომელმა, დოქტორანტმა სოფიო გულიაშვილმა ისაუბრა თემაზე: „შუა საუკუნეების აგიოგრაფიის გადააზრება თანამედროვე ევროპისთვის“.

ქართველოლოგიური სესიების მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ უცხოელი ქართველოლოგები. სექციის „შუა საუკუნეების ქართული კულტურა“ მოდერატორი და ხელმძღვანელი იყო პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე. მოხსენებები წაიკითხეს პროფესორმა დონალდ რეიფილდმა — „რელიგიური ტოლერანტობა და არატოლერანტობა შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში“, პროფესორმა გაგა შურღაიამ — „ვახტანგ I გორგასლის (440-502) საეკლესიო რეფორმა“, დოქტორანტმა ირმა მაკარაძემ — „აღმოსავლური სიუჟეტის განახლება XVII საუკუნის ინგლისურ დრამატურგიაში — „ვეფხისტყაოსნის“ კვალი XVII საუკუნის ინგლისში“ .

ცნობილმა ქართველოლოგმა დონალდ რეიფილდმა (Department of Russian, Queen Mary University, London) განიხილა რელიგიური ტოლერანტობა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, „ვისრამიანის“ ქართული ვერსიის, ბაგრატ მუხრანბატონის „მოთხრობაჲ სჯულთა უღმერთოთა ისმაილიტთაჲს“, რუის-ურბნისის სინოდის ტექსტის და სამთავისის ეპისკოპოსის კანონების ტექსტებში არსებული ფაქტების მოშველიებით.

ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორმა, გაგა შურღაიამ (Dipartimento di Studi sull'Asia e sull›Africa Mediterranea, Ca' Foscari University of Venice) წარმოადგინა მოხსენება ვახტანგ გორგასლის რეფორმაზე, მისი განხორციელების თარიღებსა და მის მნიშვნელობაზე ქართლის ეკლესიის რეორგანიზაციის პროცესში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა ირმა მაკარაძემ ისაუბრა შექსპირის ციმბელინის ქართულ წყაროზე, რომლის მიღწევა XVII საუკუნის ინგლისის დრამატურგიულ წრეებამდე, სარწმუნო ვარაუდით, უკავშირდება ცნობილ ინგლისელ დიპლომატს ანტონი შერლის და მის ვიზიტს სპარსეთის შაჰის კარზე.

სექციის — „შუა საუკუნეების ქართული კულტურა“- შეჯამება

სექციას „შოთა რუსთაველი — XII საუკუნის ქართველი პოეტი და მოაზროვნე“ თავმჯდომარეობდა პროფესორი დონალდ რეიფილდი. მოხსენებები წაიკითხეს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ — „სიყვარულის კონცეფციის განახლება და გადააზრება შუა საუკუნეებიდან რენესანსისკენ“; ამერიკელმა ქართველოლოგმა ბერტ ბეინენმა (Osher Lifelong Learning Institute, Temple University, Philadelphia) — „შოთა რუსთაველის მეგობრობის ფილოსოფია: არისტოტელური თუ ქართული?“; იტალიელმა პროფესორმა ლუიჯი მაგაროტომ (Dipartimento di Studi Linguistici e Culturali Comparati, Ca' Foscari University of Venice) – „ვეფხი-ს მნიშვნელობა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ ისაუბრა „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულის ახალ ფილოსოფიურ კონცეფციაზე — ადამიანური სიყვარულის ღვთაებრივ გადააზრებაზე, რომელიც შენიშნულია გვიანი შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში და რომლის უფრო ადრინდელი და თავისებური გააზრება და მხატვრული ასახვა ჩანს „ვეფხისტყაოსანში“.

პროფესორმა ლუიჯი მაგაროტომ ისაუბრა „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული და სპარსული თარგმანების საფუძველზე რუსთველის „ვეფხზე“, რომელიც უნდა ითარგმნოს, როგორც ლეოპარდი ან პანტერა და არა ვეფხვი.

ბერტ ბეინენმა ისაუბრა „ვეფხისტყაოსნისეულ“ მეგობრობის კონცეფციაზე; ამ კონცეფციის ქართულ ხალხურ ძირებზე და მის ინტერპრეტაციაზე ნეოპლატონური და არისტოტელური ფილოსოფიის პოზიციიდან.

სექციის — „შოთა რუსთაველი — XII საუკუნის ქართველი პოეტი და მოაზროვნე“ — შეჯამება

სესიებს ესწრებოდნენ მედიევისტები სხვადასხვა ქვეყნებიდან: ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, იტალია და ა.შ. მოხსენებების წარდგენის შემდეგ გაიმართა საინტერესო დისკუსია. უცხოელი კოლეგები დაინტერესდნენ ქართველოლოგიური მეცნიერებისთვის პრობლემური სხვადასხვა საკითხით: რა გზით მივიდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ინგლისის დრამატურგიულ წრეებამდე? რა არის საფუძველი „ვეფხისტყაოსნისეული“ მეგობრობის კონცეფციის? კითხვები დაისვა ასევე, რელიგიური ტოლერანტობის შესახებ საქართველოში და ა.შ.

ქართველოლოგიური სესიების მუშაობა დიდი წარმატებით წარიმართა — უცხოელმა და ქართველმა ქართველოლოგებმა შეთანხმებულად შეაჯამეს ქართველოლოგიური მეცნიერებებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხი. ამგვარი გამოცდილების გაზიარება, უახლესი ქართველოლოგიური კვლევების გაცნობა, ინფორმაციის გაცვლა ძალზედ მნიშვნელოვანია ქართველოლოგიური მეცნიერებებისა და ქართული კულტურის პოპულარიზების საქმეში.

პერსონა

მზია წერეთელი: მივცეთ სტუდენტებს საშუალება, რათა უარი არ თქვან მთავარ ღირებულებაზე!

„არ მიყვარს ფრთიანი გამონათქვამები, თუმცა გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტისგან ქართული საზოგადოება მუდმივად ელოდა სერიოზულ განაცხადს და მას არასოდეს გაწბილებია ეს მოლოდინი. მთავარი კი ის არის, რომ უნივერსიტეტმა ცოდნის მიცემასთან ერთად ღირებულებები, დამოკიდებულებები ჩამოუყალიბოს თაობებს. ვგულისხმობ სწორ დამოკიდებულებას ცოდნის, როგორც კვლევაზე დაფუძნებული მეცნიერების პროდუქტისა და საკუთარი თავის, როგორც პროფესიონალისა და პატიოსანი მკვლევარის მიმართ", – ასეთი პასუხი გაგვცა ფსიქოლოგიის პროფესორმა მზია წერეთელმა კითხვაზე, როგორ და სად ხედავს უნივერსიტეტის როლსა და ადგილს ქვეყნისა და საზოგადოების ცხოვრებაში.

მზია წერეთლის ბიოგრაფია უნივერსიტეტს სტუდენტობის პერიოდიდან დაუკავშირდა. მაშინ ფსიქოლოგია მხოლოდ უნივერსიტეტში ისწავლებოდა და ერთერთ ყველაზე საინტერესო ფაკულტეტადაც ითვლებოდა, სადაც განსხვავებული ადამიანები ძალიან განსხვავებულად ფიქრობდნენ, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა კი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ, თუმცა პოლიტიკური რეჟიმის გამო კონტაქტები გარე სამყაროსთან თითქმის შეუძლებელი იყო. წლების შემდეგ, როდესაც შესაძლებელი გახდა აქტიური კონტაქტები მსოფლიო სამეცნიერო წრეებთან, როდესაც აღარ არსებობდა აკრძალული ლიტერატურა და აკრძალული თემა, მოხდა ისე, რომ ფსიქოლოგიის ფაკულტეტი სხვა ფაკულტეტებთან ერთად სოციალური მეცნიერებების ქუდის ქვეშ გაერთიანდა ერთერთ მიმართულებად. რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ, წელს, ფსიქოლოგია მიმართულებიდან კვლავ უნივერსიტეტის ერთერთ ფაკულტეტად ჩამოყალიბდა, რაც ტრადიციის აღდგენის სურვილთან ერთად ამ სპეციალობის მიმართ ახალგაზრდების მზარდმა ინტერესმა და შრომის ბაზარზე ფსიქოლოგიის მცოდნე კადრებზე მოთხოვნის ზრდამაც განაპირობა.

— როგორ შეაფასებთ თსუ-ში ფსიქოლოგიის ფაკულტეტის აღდგენას?

— ფსიქოლოგიის ფაკულტეტის აღდგენა უნივერსიტეტში თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა. საქართველოში გვაქვს გამორჩეული ფსიქოლოგიური სკოლა, ძალიან სერიოზული ფუნდამენტური ნაშრომებით, ფუნდამენტური ხედვით და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ცალკე ფაკულტეტი კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობისთვის. მეორეც, ძალიან მაღალია მოთხოვნა ამ ფაკულტეტზე, რაც წლევანდელმა მიღებამ და კონკურსმაც დაადასტურა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ გვყავს საკმაოდ მაღალი დონის პროფესიული კადრები, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევებში და თანამედროვე ფსიქოლოგიური პრობლემატიკისა და მიღწევების საქმის კურსში არიან. შესაბამისად, შეუძლიათ სიახლეების აქ გადმოტანა და თანამედროვე მეთოდებით სწავლება. ეს ორი რამ — ტრადიცია, ძველი ფუნდამენტური მეთოდები და ხედვები, თანამედროვე მიდგომები — ამ ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალშია შეჯერებული. ეს ძალიან კარგია და, ჩემის აზრით, ერთ-ერთი საფუძველია იმისთვის, რომ მომავალში ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ძალიან წარმატებული გახდეს.

საკუთარ თავს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლად მივიჩნევ. სტუდენტობის პერიოდში ლექციებს მიკითხავდნენ რევაზ ნათაძე, ნინო ადამაშვილი, რუსუდან ახობაძე, რომლებიც დიმიტრი უზნაძესთან მუშაობდნენ. მათ ცოდნასა და პროფესიულ ხედვასთან ერთად დამოკიდებულებებიც ჩამომიყალიბეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ქალბატონ დალი ფარჯანაძესთან ურთიერთობა, რომელიც მეორე კურსზე გავიცანი და შემდგომში ჩემი მასწავლებელი და თემის ხელმძღვანელიც იყო. სწორედ მისგან ვისწავლე სტუდენტთან ურთიერთობა: შეეძლო მთელი საღამო მჯდარიყო ჩემთან ერთად, აეხსნა, მოეწოდებინა უამრავი ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სხვა საქმეც ჰქონდა. როდესაც სწავლების ტრადიციაზე ვსაუბრობ, სტუდენტებისადმი სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას ვგულისხმობ: ჩვენც ვცდილობთ იგივე ხასიათის ურთიერთობები გვქონდეს საკუთარ სტუდენტთან და ესეც, განწყობის ფუნდამენტურ თეორიასთან ერთად, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი და მონაპოვარია.

— განათლების პრობლემატიკასა და ფსიქოლოგიას იკვლევთ. ჩვენში განათლებას, ისევე როგორც ყველა სხვა სფეროს, აკლია მეცნიერულ ხედვასა და კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები. თქვენ განათლების სამინისტროშიც საქმიანობთ. რამდენად გამოიყენება მეცნიერთა გამოცდილება?

— სამინისტროში ვხელმძღვანელობ ადმინისტრაციის დეპარტამენტში კვლევებისა და შეფასებების სამმართველოს, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შეიქმნა. სამმართველოს ერთ-ერთი მიზანი სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების და სამინისტროში შემავალი სტრუქტურების მიერ განხორციელებული განათლების კვლევების და შეფასებების შეგროვება, მათი ანგარიშების განხილვა და რეკომენდაციების მომზადებაა, ცხადია, გარდა სამეცნიერო ინსტიტუტებისა და სასწავლო დაწესებულებებისა.

რაც შეეხება, ზოგადად, მეცნიერულ საფუძველს, განათლების სისტემა სწორედ ასეთ საფუძველზეა აგებული, სხვაგვარად ვერც იქნებოდა. თუნდაც ჩემი იქ მუშაობა მეცნიერთა გამოცდილების გამოყენების მაგალითია. მოგეხსენებათ, რომ განათლების სისტემა სწრაფ ნაყოფს არ იძლევა, ამას გარდა, მრავალკომპონენტიანი და რთული სისტემაა, რომელშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანური ფაქტორი: რაც უნდა კარგი იყოს სისტემა ან კურიკულუმი, მას განხორციელება სჭირდება, საამისოდ კი სისტემატური რევიზია და იმის შეფასებაა აუცილებელი, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი. სამმართველოში თვალყურს ვადევნებთ სისტემაში ჩატარებული კვლევების ვალიდურობას და ვცდილობთ, ვიზრუნოთ მათ ხარისხზე. მთლიანობაში, საკმაოდ საინტერესო კვლევებია ჩატარებული და ის პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებიც განათლების სისტემაში იდგმება, სწავლისა და განათლების ფსიქოლოგიის მონაპოვარზეა დაფუძნებული; ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სისტემაშიც, რადგან შეფასება და უკუკავშირი განვითარების საფუძველია.

— წლევანდელი წელი უნივერსიტეტში სამეცნიერო წლად გამოცხადდა და პროფესორისადმი მოთხოვნებიც შესაბამისად გაიზარდა. რა კვლევით საქმიანობას ეწევით უნივერსიტეტში?

— რაც შეეხება საუნივერსიტეტო კვლევით საქმიანობას, ახლახან დავასრულეთ მუშაობა ნაშრომზე: „ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტთა ინტერკულტურული სენსიტურობა საქართველოში", რომელიც კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის მხარდაჭერით გაკეთდა. კვლევა

მზია წერეთელი – თსუ-ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. დაცული აქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები თემებზე: „მეხსიერებაში ინფორმაციის შენახვის სტრუქტურები და მათი მოქმედების მექანიზმები" და „გენდერული სტერეოტიპები და მათი მოქმედების მექანიზმები";

იგი ხელმძღვანელობს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტს, რომელიც სკოლისა და, ზოგადად, განათლების ფსიქოლოგიის პრობლემატიკაზე მუშაობს. ამავდროულად, იგი არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კვლევების და შეფასებების სამმართველოს უფროსი.

თბილისსა და ახალციხეში ჩატარდა და მასში ჩართულები იყვნენ, ძირითადად, ეროვნული უმცირესობებისა და დომინანტური მოსახლეობის წარმომადგენელი სტუდენტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ახალციხის უნივერსიტეტიდან. ძალიან საინტერესო შედეგები მივიღეთ სტუდენტთა ღირებულებებისა და ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ.

კვლევისთვის სტუდენტები იმიტომ შევარჩიეთ, რომ გვაინტერესებდა — მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების ფონზე როგორია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების თანაცხოვრების და ინტეგრირების შესაძლებლობები და რამდენადაა დამოკიდებული ინტერკულტურული სენსიტიურობა პრიორიტეტულ ღირებულებებთან.

ინტერკულტურული სენსიტიურობა, მგრძნობელობა ჰარმონიული თანაცხოვრების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია და წარმოადგენს ინდივიდის უნარს, მიიღოს განსხვავებული კულტურისა და ენის მქონე ადამიანის მსოფლმხედველობა, შეძლოს მასთან ეფექტური ურთიერთობა. კვლევაში 588 სტუდენტი მონაწილეობდა, მათ შორის, „ოთხი პლუს ერთი" პროგრამის სტუდენტები.

ჩემდა სამწუხაროდ, კვლევამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტთა ინტერკულტურული სენსიტიურობა ერთმანეთის მიმართ განსხვავებულია და სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებს იგი უფრო მეტად აქვთ განვითარებული ქართველების მიმართ, ვიდრე ერთმანეთის მიმართ. აშკარაა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტი საქართველოში მაცხოვრებელ ეთნიკურ ჯგუფებზეც აისახება. მეორე მხრივ, ქართველების მიმართ სენსიტიურობის მაღალი დონე დომინანტურ მოსახლეობასთან მორგების, ადაპტაციის მაჩვენებელია. ასევე, თბილისელი სტუდენტების სენსიტიურობა უფრო მაღალია, ვიდრე ახალციხელების, რაც დედაქალაქის მულტიკულტურული გარემოსა და უფრო მეტად განვითარებული სამოქალაქო ცნობიერების შედეგია.

რაც მთავარია, კვლევამ გამოავლინა, რომ სომეხი და აზერბაიჯანელი ბაკალავრიატის სტუდენტების სენსიტიურობის დონე მკვეთრად გაზრდილია ენის მოსამზადებელი პროგრამის სტუდენტებთან შედარებით. ეს მიუთითებს, რომ პროგრამა „ოთხი პლუს ერთი" დადებით ზეგავლენას ახდენს სტუდენტთა ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარებაზე და ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამის შემდგომი განვითარება და მხარდაჭერა: სასწავლო გარემო, რომლის დროსაც სტუდენტი ხვდება როგორც ქართველ, ისე სხვა ეროვნების სტუდენტთან ერთად, განაპირობებს მათ ეთნიკურ მგრძნობელობას და მათი ღირებულებები და შეხედულებები გაცილებით უფრო მოქნილი ხდება, ვიდრე მანამდე იყო.

სენსიტიურობასთან ერთად, ჩვენ წამყვანი ღირებულებებიც ვიკვლიეთ შალომ შვარცის ცნობილი ღირებულებათა სისტემის მიხედვით. რაც გამოიკვეთა, ძალიან საინტერესოა განათლების ფსიქოლოგიისთვის და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნისთვისაც. აღმოჩნდა, რომ ქართველ სტუდენტთა უმრავლესობისათვის წამყვანი არის განვითარების კატეგორია. მოგეხსენებათ, რომ შვარცის სისტემაში ბევრი კატეგორიაა, მათ შორის ტრადიციულობა, სტაბილურობა, ძალაუფლება, დამოუკიდებლობა, განვითარება და ა.შ. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდებისთვის საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა, განვითარება და იმ გზების მოძებნა, რომელიც ამაში ხელს შეუწყობს, ყველაზე ღირებულია. ამას უკავშირდება ისიც, რომ მათ გამოწვევების არ ეშინიათ და ცვლილებებისთვის ღია არიან. ამ თვალსაზრისით, ეს არის სრულიად ახალი თაობა და მათ აქვთ სერიოზული იმპულსი. მიხარია, რომ ასეთი შედეგი მივიღეთ, თუმცა, მეცნიერული სიზუსტისათვის ვიტყვი, რომ ეს უშუალოდ იმ სტუდენტებში გამოიკვეთა, რომლებიც ჩვენ გამოვიკვლიეთ. სხვათა შორის, განვითარების ღირებულება მნიშვნელოვანია აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტებისთვისაც, მაგრამ ისეთი დოზით არა, როგორც ქართველი სტუდენტებისთვის. ამას პირდაპირ ვუკავშირებ სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემას, რადგან როდესაც სტუდენტებს სწავლებიდან გამომდინარე ენის პრობლემა ეხსნებათ, მათ შესაძლებლობაც უფართოვდებათ. ამიტომ „ოთხი პლუს ერთი" პროგრამას არა მხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით აქვს წარმატება, არამედ სოციალური ღირებულებების და საერთოდ ღირებულებათა სისტემის განვითარებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია.

აქვე ვიტყვი, რომ ღირებულებათა სისტემა, ერთი მხრივ, ყალიბდება შინაგანი მოთხოვნილებების საფუძველზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემო პირობები, რომელშიც მოღვაწეობს პიროვნება. ამ სფეროში მომუშავე ფსიქოლოგებს მოჰყავთ ასეთი მაგალითი: შეიძლება ადამიანს ოჯახის შექმნამდე ჰქონდეს გარკვეული ღირებულებები, მაგრამ შემდეგ, იმისდა მიხედვით, რა შესაძლებლობები აქვს, შემოსაზღვრავს თავის ღირებულებებს. მაგალითად, თუ შვილი პატარა ჰყავს, შეიძლება მოუხდეს უარის თქმა სხვა ქვეყანაში სწავლის გაგრძელებაზე, ანუ სოციალური კონტექსტი ცვლის და მოარგებს რეალობაზე ჩვენს ღირებულებებსა და შესაძლებლობებს. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ძალიან მნიშვნელოვანია განვითარების სურვილი ჩვენს სტუდენტებში. სტუდენტებს საშუალება უნდა მივცეთ — უარი არ თქვან მთავარ ღირებულებაზე.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲘᲜᲢᲔᲠᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

კავკასია — უნიკალური ფენომენია თავისი მრავალფეროვნებით, თავისთავადი კულტურებით, ერებს შორის ურთიერთობების მყარად ჩამოყალიბებული ტრადიციებით, ისტორიით... კონფერენციის მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ღონისძიების ორგანიზატორი ზვიად კვიციანი. კონფერენცია 7-9 სექტემბერს მესტიის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიმართა.

„კავკასიური ცივილიზაცია, ინტერდისციპლინური კვლევები“, — ამ თემატიკამ სამეცნიერო კონფერენციაზე კავკასიის რეგიონის 50-მდე მეცნიერი გააერთიანა, რომლებმაც არაერთ საჭირო პრობლემაზე და ამ სფეროში მიმდინარე ახალი კვლევებისა და მეთოდოლოგიების დანერგვაზე იმსჯელეს. კონფერენციის მნიშვნელობაზე საუბრისას მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ ინტერდისციპლინარულ კვლევებს დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კულტურულ-ცივილიზაციური, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. ღონისძიებას დაესწრო პარლამენტის კავკასიის დიასპორასა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე თემურ ჭკუასელიც, რომელმაც კავკასიის ხალხთა ერთიანობის მნიშვნელობაზე და ამ საკითხის გადაჭრის გზებზე ისაუბრა. ფორუმში მონაწილე ქართველმა და ჩრდილოკავკასიელმა მეცნიერებმა სხვადასხვა კავკასიოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებიდან წარმოადგინეს თავიანთი ახალი კვლევების შედეგები. ღონისძიების ორგანიზება ითავეს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტმა და კავკასიოლოგიის ინსტიტუტმა. ფორუმი მესტიის მუნიციპალიტეტისა და პარლამენტის კავკასიის დიასპორასა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის მხარდაჭერით გაიმართა.

„ჩვენს სინამდვილეში ერებს შორის სამეცნიერო და კულტურული კავშირების გამოცოცხლება წარმოადგენს ერთერთ იმ ქმედით ფაქტორთაგანს, რომელიც ხელს უწყობს მათ საზოგადოებრივ განვითარებას. ასეთი კავშირების ისტორიის მეცნიერული გამოკვლევა იძენს საყურადღებო და აქტუალურ მნიშვნელობას. ამ თვალსაზრისით საინტერესო ხდება სათავეებისა და კულტურული ურთიერთობების განვითარების გამოვლენა საქართველოსა და მის მკვიდრ კავკასიის ერებს შორის. ერების კულტურული ურთიერთობები იმსახურებენ განსაკუთრებულ ყურადღებას არა მხოლოდ თავისი ისტორიის ხანგრძლივობის გამო, არამედ კონკრეტულ – ისტორიული შედეგების განსაკუთრებული თავისებურებების, სირთულისა და მნიშვნელობის თვალსაზრისითა“, განაცხადა პროფესორმა ზვიად კვიციანმა.

კონფერენციის მიზნებზე და კავკასიური ცივილიზაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ცირა ბარამიძემ, რომელმაც ფორუმზე თავისი მოსაზრება და დამოკიდებულება გაუზიარა დამსწრე საზოგადოებას. „კავკასიელები, ერთი მთის შვილები ვართ; ჩვენ ერთი ძირის ენებზე ვმეტყველებთ, ერთიანი ეთნოკულტურული მემკვიდრეობა გაგვაჩნია, ერთი ცა გვხურავს და ერთი მიწა იძვრის ჩვენს ფეხთა ქვეშ, ისტორიაც ერთი გვაქვს და თანამედროვეობაც, მომავალიც ერთი უნდა გვქონდეს. უერთმანეთოდ ჩალის ფასი აქვს ცალკეულ ჩვენგანს, ყოველი გამქრალი ხალხი და ენა კი დაკარგული კაცობრიული ცოდნაა სამყაროს შესახებ, რომელიც ვეღარასოდეს აღდგება. ამის საშიშროება ჩვენი სახლის კართან დგას, ამის მაგალითი კი, სამწუხაროდ, არაერთია კავკასიაში. გულწრფელად დავბრუნდეთ კავკასიურ ტოლერანტობაში და ვიზრუნოთ კავკასიური ცივილიზაციის შენახვისა და გადარჩენისთვის. თუ ასე არ მოვიქცევით, „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკა უფრო დღეგრძელი აღმოჩნდება და უახლოეს მომავალში კავკასიური ცივილიზაციისგან აღარაფერი დარჩება ტერიტორიის გარდა. ტერიტორია კი სწორედ ის არის, რაც ასე ანდამატივით იზიდავდა ყოველი დროისა და რჯულის დამპყრობელს კავკასიაში. მეცნიერება აღიარებს კავკასიური ცივილიზაციის არსებობას, ცივილიზაციის ყოველი საკლასიფიკაციო ნიშანი კავკასიას დღემდე მტკიცედ შემოუნახავს, კავკასიის ტრაგედია მის გეოგრაფიულ მდებარეობაშია. კავკასიამ ისტორიული ბედისწერით გაცილებით მეტი დაკარგა, ვიდრე შეიძინა. ჩვენ, კონფერენციის მონაწილენი, დღეს მხოლოდ ერთ აგურს დავდებთ იმ ათასწლობით ნაშენებ შენობის კედლებზე, რომელსაც „კავკასიური სახლი“ ჰქვია, რომლის დასრულებასაც კიდევ დიდი დრო და ენერგია დასჭირდება, მაგრამ იგი აუცილებლად აშენდება; ამას ითხოვს ისტორიის კანონზომიერებანი, ისტორიული გარდაუვალობა. მთავარი საკითხავი აქ ის არის, რამდენად სწორად განვჭვრიტეთ ჩვენ, ამ ეპოქის შვილებმა ეს გარდაუვალობა, რამდენად ზუსტად შევაფასეთ რეალობა და ამ რეალობაში კავკასიელი ხალხების შესაძლებლობანი, როგორ ვიღვაწეთ კავკასიური ცივილიზაციის, ბებერი, მაგრამ სასიცოცხლო ენერგიით აღსავსე ცივილიზაციის გადარჩენისთვის, როგორ შევაფასეთ იმ თაობათა და მოღვაწეთა ნაამაგარი, რომლებიც თავს სწირავდნენ კავკასიურ იდეას.

ჩვენ ვსწავლობთ და ვიკვლევთ კავკასიურ ცივილიზაციას, მის მულტილინგვიზმსა და მულტიკულტურალიზმს, მის ბიომრავალფეროვნებას, მის ნედლეულსა და რესურსებს, მის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ პერსპექტივებს, მის ფსევდოეთნოკონფლიქტებს, ჩვენ ვამსხვრევთ თავსმოხვეულ სტერეოტიპებს, ნიჰილისტურ განწყობას, რომლის მიხედვითაც კავკასიელებს, არ შეგვიძლია საერთო ენის პოვნა, თუ მესამე ძალა არ ჩადგა ჩვენს შორის. მჯერა, გავარღვევთ ურთიერთგაუცხოების კედელს და აუცილებლად გავუწვდით ხელს ერთმანეთს, და თუ დღეს ვერ შევძელით, მომავალი თაობა შეძლებს; ამისთვის ყველა რესურსია გამოსაყენებელი, მათ შორის, კავკასიური ადათები, რომელთა მიხედვითაც ორ ძმას შორის დაპირისპირებას მესამე ძმა აგვარებს და არა მესამე ძალა; ჩვენ, მეცნიერები, ზუსტად შევაფასებთ რისკ-ფაქტორებს, რომელთა მიხედვითაც დღეს უკვე ჩრდილოკავკასიური ენები მინორიტარულ ენათა რიგში დგას და საბოლოო ასიმილაციისკენ მიექანება; ჩვენ შევქმნით მეცნიერულ საფუძვლებს, წანამძღვრებს, რათა კავკასიის ყოველი ხალხის, ამ ხალხების ყოველი ადამიანის გულსა და ტვინამდე მივიდეს ეს განგაში, აღძრას მასში ეროვნული იდენტობის ტკივილი და ამ გრძნობამ გააზრებული ქმედებისკენ განაწყოს. კვლავ დღის წესრიგში დგას ფარნავაზის, ლეონტი მროველის, ილიას, ჯავახიშვილის, ჩიქობავას, გამსახურდიას და სხვათა საზრუნავი. ის დღეს ჩვენი თაობის სასიცოცხლო ამოცანაა“, — ამ სიტყვებით მიმართა ცირა ბარამიძემ მონაწილეებს.

კონფერენციის მნიშვნელობაზე და მის შედეგებზე მსჯელობისას ცირა ბარამიძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აღდგა ივანე ჯავახიშვილისეული და არნოლდ ჩიქობავასეული მიდგომა კვლევებისადმი და ეს არის სწორედ ინტერდისციპლინარული კვლევები, რომელიც განმტკიცებულია ლინგვისტური, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური კვლევების დასკვნებით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. მისი აზრით, ის ფაქტი, რომ დღემდე რომ ევროპელ მეცნიერთა არც ერთ ჩამონათვალში, რომლებიც მსოფლიო ცივილიზაციებს იკვლევენ, კავკასიური ცივილიზაცია ვერ მოხვდა, მხოლოდ მათი შეცდომა არ არის და ეს კავკასიოლოგების ნაკლოვან მხარედაც შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომ ამგვარ კვლევებს ამ კუთხითაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მისი აზრით, აუცილებელია, მეცნიერულად განისაზღვროს, თუ რა ცვლილებები განიცადა კავკასიამ, როგორც ცივილიზაციათა შეხვედრის ადგილმა, სადაც ხშირად ერთმანეთს ხვდებოდა და ზოგჯერ იმსხვრეოდა ეს ცივილიზაციები და კულტურები.

ზვიად კვიციანის ინფორმაციით, კავკასიოლოგთა ფორუმზე დიდი ადგილი დაეთმო სვანეთის არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ ლინგვისტური უახლესი კვლევის შედეგების განხილვას, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამერიკელი მეცნიერის თეოდორ შურისა და ქართველი მკვლევარების ერთობლივი ნაშრომი ქართველთა დნმ-ის შესახებ, რომელიც მეცნიერმა დიდ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეისწავლა და მნიშვნელოვანი დასკვნები წარმოადგინა. კვლევათა შედეგები უპირველესად მნიშვნელოვანია მეცნიერებისთვის, იგი დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში კავკასიელთა ეთნოგენეზის საკითხების საბოლოო გადაჭრისთვის.

აღსანიშნავია, რომ ქართველი და ჩრდილოკავკასიელი მეცნიერთა საუკეთესო ნაშრომები სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, დაიბეჭდება ჟურნალში „კავკასიოლოგიური ძიებანი“, სამ ენაზე. ამ ჟურნალმა დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიო კავკასიოლოგიურ ცენტრებში და აღიარებულია, როგორც ერთერთი წამყვანი პერიოდული გამოცემა.

ცირა ბარამიძის აზრით, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ კონფერენცია პირველად კავკასიოლოგიის ისტორიაში, საქართველოს ულამაზეს რეგიონში, სვანეთში ჩატარდა, რადგან უცხოელ და კავკასიელ კოლეგებს საშუალება ჰქონდათ, ამ უნიკალურ კუთხეს გასცნობოდნენ. „კონფერენციაში მონაწილეობდნენ სვანეთის მთებს იქით მცხოვრები ყარაჩაელების, ყაბარდო-ბალყარეთის, ბალკანელების, ჩერქეზების წარმომადგენლები, რომლებიც წარსულში მთის ვიწრო ბილიკებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, ახლა კი ათასი კილომეტრი გამოიარეს, რათა სვანეთს სტუმრებოდნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კავკასიელმა მეცნიერებმა ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ოფიციალური წერილით მიმართვეს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. სადაც ისინი ითხოვდნენ ამ საკითხის ხელახლა გადასინჯვას, მომავალში საფრთხეების აცილების მიზნით.

კონფერენციას უმასპინძლა საქართველოს მესტიის ეროვნულმა მუზეუმმა, რომელსაც მიენიჭა ეტალონი მუზეუმის სტატუსი სწორედ იმ დღეს, როცა კონფერენცია გაიხსნა. ფორუმის ფარგლებში რამდენიმე კულტურული ღონისძიებაც გაიმართა, რომელთა შორის აღსანიშნავია კავკასიოლოგიაში ბოლო წლებში გამოცემული წიგნების გამოფენა და ჩერქეზი მხატვრის, სერგო ქობულაძის მოსწავლის თეუჩეჟ ყატის ნახატების გამოფენა ქართულ თემატიკაზე.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲙᲣᲠᲡᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ

ახალი სასწავლო წლის დაწყება სტუდენტებს ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ, დეკანის მოადგილემ, პროფესორმა ლალი სურმანიძემ, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა მიულოცეს.

ღონისძიებაზე პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

საჩუქრები გადაეცათ თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ახლადჩარიცხულ ბაკალავრიატის პირველსემესტრელ სტუდენტებსაც.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 200-მდე პირველკურსელი ისწავლის.

წელს პროფესორ ნუგზარ ალექსიძეს დაბადებიდან 80 წელი უსრულდება

საუკუნის ადამიანი (International Man of the Millenium), — ასე უწოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ–კორესპონდენტს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნუგზარ ალექსიძეს კემბრიჯის ინტერნაციონალურმა ბიოგრაფიულმა ცენტრმა (1992 წ.), მაღე კი იგი აშშ-ის ბიოგრაფიული ინსტიტუტის (ABI) მიერ წლის ადამიანად („Man of the Year“) დასახელდა და შეყვანილია ცნობარში „ვინ ვინ არის” (1997 წ).

წელს პროფესორ ნუგზარ ალექსიძეს დაბადებიდან 80 წელი უსრულდება. იგი პიროვნულად უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა და პირველი მეცნიერული „ნათლობაც“ აქ მიიღო.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნუგზარ ალექსიძე იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც ცხოვრების ნახევარზე მეტი უნივერსიტეტში გაატარა, რომელიც 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 16 სახელმძღვანელოს, 10 მონოგრაფიის და 18 გამოგონების ავტორია. იგი შეყვანილია მსოფლიოს 500 გამოჩენილ მეცნიერთა სიაში.

სოლიდური ასაკის მიუხედავად, იგი კვლავ ენერგიულად, მაღალნაყოფიერად იღვწის სამეცნიერო პედაგოგიურ თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ნუგზარ ალექსიძე დაიბადა ქალაქ სენაკში 1935 წელს. თბილისის მე-8 ვაჟთა საშუალო სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა და იმავე წელს (1953 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, სადაც მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგის ი. თარხნიშვილის სახელობის სტიპენდია დაენიშნა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ივანე ბერიტაშვილის წინადადებით, ნუგზარ ალექსიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ბიოქიმიის ლაბორატორიის სალექციო ასისტენტად დაინიშნა და ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ლექციების კითხვა დაევალა ზოგად ბიოქიმიაში.

ნუგზარ ალექსიძემ 1963 წელს საკანდიდატო, ხოლო 1978 წელს სადოქტორო დისერტაციები დაიცვა. 1969 წელს მას დოცენტის, ხოლო 1979 წელს პროფესორის წოდება მიენიჭა. 1973 წლიდან 1987 წლამდე იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრის გამგე გახლდათ.

ნუგზარ ალექსიძის მოღვაწეობის სფეროებია ნეიროქიმია, ფსიქობიოლოგია, ბიოტექნოლოგია და ასტრობიოლოგია. მის მიერ გამოცემულ ორტომეულს: „ნეიროქიმიის საფუძვლები“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს პრემია მიენიჭა, ხოლო 2002 წელს, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების – ლექტინების ბიოქიმიურ შესწავლასთან დაკავშირებით მოპოვებული შედეგებისთვის კათედრის თანამშრომლებთან ერთად მიენიჭა აკადემიკოს პ. ქომეთიანის სახელობის პრემია.

ნუგზარ ალექსიძე, როგორც ფუნქციური ნეიროქიმიის სპეციალისტი, დაინტერესდა გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის, დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის ნეიროქიმიური საფუძვლების შესწავლით. საკუთარ და ლიტერატურულ ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით, მან აჩვენა, რომ აგრესიული სოციალური გარემოს გავლენით, სტრესის დროს, მნიშვნელოვნად იცვლება ადამიანის განწყობა და შესაბამისად ნეირომედიატორებისა და ენდოკრინული ჰორმონების რაოდენობრივი განაწილება. შედეგად, ადაპტაციური სინდრომის ფორმირების გაძლიერების გამო, აღნიშნული რაოდენობრივი ცვლილებები ისევ საწყის დონეს უბრუნდება. ირკვევა, რომ სოციალური გარემოს საპასუხოდ, ქცევითი რეაქციების განსახორციელებლად, აღინიშნება ფსიქოემოციური განწყობისთვის მზაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიას — განწყობა — ქცევა, ნუგზარ ალექსიძემ დაუმატა მესამე ინფორმაციული კომპონენტი – ადაპტაციური სინდრომი და მან შემდეგი სახე მიიღო: განწყობა-ადაპტაციური სინდრომი — ქცევა, რაც სრულად შეესაბამება განწყობის ფსიქობიოლოგიურ საფუძვლებს. ნაშრომი აღიარეს ფსიქოლოგებმა და იგი დაიბეჭდა აშშ-ს ჟურნალში „Advances in Psychology Research“, 2013 (N. Aleksidze, Psychobiological Foundation of the Theory of Attitude). მიმდინარე წელს თსუ-ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის მოეწყო ნ. ალექსიძის სახელმძღვანელოს „ფსიქობიოლოგიის საფუძვლების“ პრეზენტაცია, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის. პრეზენტაციის დამთავრების შემდეგ, სტუდენტებმა დიდი მადლობა გადაუხადეს საინტერესო ლექციისთვის. დასანანია, რომ ფსიქოლოგებს არ ეკითხებათ ლექციები, მათთვის საბაზისო ისეთ საგანში, როგორიცაა ფსიქობიოლოგია.

ნუგზარ ალექსიძის უდიდეს დამსახურებად ითვლება მისი ღვაწლი ქართული ბიოქიმიური ტერმინოლოგიის დადგენის საქმეშიც. მის მიერ შემოღებულმა მრავალმა ტერმინმა წარმატებით დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ბიოქიმიურ ლიტერატურაში (მაქოს მექანიზმი, საფალიე, თვისობა, ნაკეცფენოვანი სტრუქტურა, ნეიროლექტინი, აგრესიული სოციალური გარემო, აირთხევადი ქრომატოგრაფია, ღეროვანი უჯრედები). მის სახელთანაა დაკავშირებული რთული დასახელების მქონე ენზიმებისა და ნივთიერებების სახელების წარმოება. ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე ნუგზარ ალექსიძის ორგანიზატორულ უნარს, რომლის შესახებ აკადემიკოსი პ. ქომეთიანიც წერდა.

1988 წლიდან ნუგზარ ალექსიძე არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, მედიკო-ბიოლოგიური (1994), საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა (1995), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (1999) და

ევროპის საზოგადოებრივი სამეცნიერო აკადემიების (1995) ნამდვილ წევრად, თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO), ევროპის ნეიროქიმიური ფედერაციისა (FENS) და ევროპის საერთაშორისო ბიოქიმიკოსთა საზოგადოების (FEBS) წევრად. ნუგზარ ალექსიძე არის საერთაშორისო ჟურნალ „Нейрохимия“-ს, ჟ. Biol. Phisic and Chem.-is, „Georgian Neuroscience“-ისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მაცნე“-სა და „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ნუგზარ ალექსიძე 2014 წლიდან საქართველოს ბიოქიმიკოსთა არასამთავრობო ასოციაციის საპატიო პრეზიდენტია. 2001 წელს არჩეულ იქნა ევრომეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილ წევრად. 2013 წელს ნუგზარ ალექსიძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრად აირჩიეს.

ბიოლოგიის მეცნიერების განვითარების, სახალხო მეურნეობაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ნუგზარ ალექსიძე დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, ესენია: მოსკოვის სასოფლო სამეურნეო გამოფენის „ბრინჯაოს მედალი” (1987), ორდენი „Знак Почета“ (1986), გამოჩენილი უკრაინელი ნეიროქიმიკოსის „ა. პალადინის მედალი“ (1988), „ევროპის ბიოქიმიკოსთა ფედერაციის მედალი“ (1984), „ივ. ჯავახიშვილის მედალი“ (1976, 1995), „შრომის ვეტერანის მედალი” (1990); „ღირსების ორდენი“ (1996) და „გამომგონებლის მედალი“ (1988). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი სამუშაოები სოფლის მეურნეობაში უნარჩენო ტექნოლოგიების დამუშავების მიზნითაც. მეცხოველეობის ნარჩენების ბაზაზე კრწანისის ტერიტორიაზე ნ. ალექსიძის მიერ დამუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით შეიქმნა პლასტმასის ქარხანა, სადაც ქუთაისის ავტოქარხნისათვის მზადდებოდა ავტომანქანების პლასტმასის ნაწილები, სოფლის სასათბურე მეურნეობისათვის მოძრავ ძირიანი ქოთნები და სხვ. ასტრობიოლოგიის მიმართულებით მისი ხელმძღვანელობით მოახდინეს მარსის გრუნტის ბიორემედიაცია, პროფ. ო. მუკბანიანთან თანამშრომლობით მარსის გრუნტისაგან შექმნეს სამშენებლო ბლოკები პლანეტა მარსზე საცხოვრისი სახლების ასაშენებლად. აღნიშნულ ნაშრომებზე მიიღეს პატენტი, შრომები კი გამოქვეყნდა აშშ-ის საერთაშორისო ჟურნალ ასტრობიოლოგიაში 2015 წელს.

ფასდაუდებელია ნუგზარ ალექსიძის სასწავლო-პედაგოგიური მოღვაწეობა. მან მოამზადა 24 მეცნიერებათა კანდიდატი (ერთი უცხოელი) და 8 მეცნიერებათა დოქტორი. ნუგზარ ალექსიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის კითხულობდა ზოგადი ბიოქიმიის კურსს, სპეცკურსებს: „ნეიროქიმიაში და „ეკოლოგიური ბიოქიმიის საფუძვლებში“. პარალელურად ნ. ალექსიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის საერო სამედიცინო ინსტიტუტში, გორის ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში, შიდა ქართლის უნივერსიტეტში და წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის 1995 წელს, ნუგზარ ალექსიძეს მიენიჭა სოროსის პროფესორის წოდება, რაც მან 5 წლის განმავლობაში კონკურსის წესით შეინარჩუნა. 2010 წელს იგი დაჯილდოვდა მშვიდობის დესპანის მედლით ნეირობიოლოგიაში (WORLD MEDAL OF FREEDOM). 2014 წელს ინგლისის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ ის დასახელდა მსოფლიოს 100 საუკეთესო პროფესორ-პედაგოგთა შორის და დაჯილდოვდა COMMEMORATIVE MEDAL-ით.

2015 წელს ხელოვნების, მეცნიერებისა და კომუნიკაციების მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტმა ლინდა ჰ. ბლეჩერიმ იგი აღნიშნული მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად წარადგინა და მედლით დააჯილდოვა.

ნუგზარ ალექსიძე მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერია. სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, მან რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები შექმნა, რომელმაც დიდი კომპოზიტორების: დიმიტრი არაყიშვილის, ანდრია ბალანჩივაძისა და ბიძინა კვერნაძის მოწონება დაიმსახურა.

ნუგზარ ალექსიძემ შექმნა მუსიკალური ნაწარმოებები: „ელეგია“ (ი. ჭავჭავაძე), „დიდება ბელადს“ (ი. ნონეშვილი), „კურდღლის სიმღერა“, „გადასახლება“, „შოპენიანა“ და სხვ., რომლებიც მუსიკის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს. მისი შექმნილია ჰიმნი, იგი მოისმინა სრულიად საქართველოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ და შესანიშნავ ნაწარმოებად აღიარა.

მოამზადა **თამარ დადიანმა**

ბატონი შალვა აბზიანიძე, უბრალოდ, შუქრი...

ძალიან რთულია კოლეგის და მეგობრის გახსენება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ კითხულობდა ლექციებს, აგვარებდა სასწავლო საკითხებს, ჩვენთან ერთად ოცნებობდა ფაკულტეტის განვითარებაზე.

შალვა აბზიანიძეს აუსრულდა ოცნება და შეიქმნა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. ფაკულტეტის შექმნამდე და მის შემდეგაც ბატონი შალვა თავდაუზოგავად შრომობდა ახალი ფაკულტეტის მოწყობისა და განვითარებისთვის. მას დიდი გეგმები ჰქონდა და დარწმუნებული იყო, რომ ახალ ფაკულტეტზე ყველა პირობა შეიქმნებოდა პროფესორებისა და სტუდენტების აკადემიური და სამეცნიერო ურთიერთობებისთვის.

შალვა აბზიანიძეს ხშირად უთქვამს, უნივერსიტეტში 17 წლის შემოვედი და აქედან აღარ გავსულვარო. ეს მართლაც ასე იყო. ზოგიერთი ჩვენგანი ბატონი შალვას პირველი სტუდენტი იყო - სწორედ იმ პერიოდიდან გვახსოვს ახალგაზრდა, - - - - - - არაორდინარული, ენერგიული ლექტორი, ვიხსენებთ მის მიერ ორგანიზებულ ინტერპერსონალური ურთიერთობის ტრენინგებს, რაც მაშინ ძალზე იშვიათი რამ იყო. ყველა ცდილობდა ამ ტრენინგებზე მოხვედრას...

ბატონი შალვა ჩვენს უნივერსიტეტში სოციალური ფსიქოლოგიის დარგის დამკვიდრების საქმეში მის მასწავლებელს, პროფესორ რევაზ ქვარცხავას გვერდში ედგა. მან დიდი შრომა გასწია ამ დარგის განვითარებისთვის საქართველოში, ჩვენს უნივერსიტეტში დაამკვიდრა პოლიტიკური ფსიქოლოგიისა და კროსკულტურული ფსიქოლოგიის კურსები.

მას შეეძლო ფართო პერსპექტივიდან დაენახა მოვლენები. ფაკულტეტის განვითარების შესანიშნავი სტრატეგიული ხედვა ჰქონდა. იგი ბევრს ფიქრობდა სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის, ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების განხორციელების საკითხების მოგვარებას. განსაკუთრებით ზრუნავდა ფაკულტეტზე სატრენინგო ცენტრისა და ფსიქოლოგიური ლაბორატორიების შექმნაზე, მათ ტექნიკურ აღჭურვილობაზე. მის მიერ შექმნილი სასწავლო გეგმისა და პროფესორ-მასწავლებლების შრომის ანაზღაურების მოდელი ფაკულტეტისთვის



მნიშვნელოვანი შენაძენია. მისი წვლილი ახლად დაარსებული ფაკულტეტის სტრუქტურული მოწყობისა და ფუნქციონირების საქმეში განსაკუთრებულია, მისი გამოცდილება, ენერგია, გამჭრიახობა და მხარდაჭერა ფაკულტეტის შემდგომი განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო.

გვიმძიმს შუქრიზე წარსულ დროში საუბარი - სულ ცოტა ხნის წინ, მასთან ერთად ვსახავდით სამომავლო გეგმებს... გულისტკივილით ვიხსენებთ, როგორ უხაროდა ჩვენი დამოუკიდებელი ფაკულტეტის პირველი საბაკალავრო გამოშვება. უკვე მძიმედ ავადმყოფი, დიდი ძალისხმევის ფასად დაესწრო გამოშვების ცერემონიალს.

უნივერსიტეტელ ფსიქოლოგებს გვაქვს კედელი, საიდანაც შემოგვცქერიან ჩვენი ძვირფასი მასწავლებლების სახეები, რომლებსაც ლომის წილი აქვთ ქართველი ფსიქოლოგების მომზადების საქმეში. ახლა მათ რიგს ჩვენი შუქრის, პროფესორ შალვა აბზიანიძის სახეც შეუერთდება.

კოლეგები

რექტორის ახალი სტიპენდიატი

ნატო ოგოლაძე

ახალი სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავ ღონისძიებაზე ვლადიმერ პაპავამ რექტორის სტიპენდიატი ვენერა ცერცვაძე დააჯილდოვა. სტიპენდიატი რექტორის ხელფასიდან ერთი სემესტრის განმავლობაში 250 ლარს მიიღებს.

ვენერა ცერცვაძე თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტია. ამ ფაკულტეტზე ჩაბარება ბავშვობიდან სურდა. პროფესია გააზრებულად აირჩია, თუმცა კონკრეტული სპეციალობის არჩევისას გადაწყვეტილება უკვე ლექციების მოსმენის შედეგად მიიღო.

„ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა მათემატიკა, მაინტერესებდა ბუღალტერია. უნივერსიტეტში ჩაბარებამდე ბუღალტრობა მსურდა. ჩაბარების შემდეგ, როდესაც მიმართულების არჩევა მიწევდა, გადაწყვეტილება შევცვალე. ჩემთვის მეტად საინტერესო აღმოჩნდა მაკრო ეკონომიკა, რა მიმართულებითაც გამოვარჩევდი ჩემს ლექტორს, ბატონ მალხაზ ჩიქობავას. მისი ლექციები თუ სემინარები იმდენად საინტერესოდ მიმდინარეობდა, სურვილი გიჩნდებოდა — მეტად გაცნობოდი, შეგესწავლა სხვადასხვა ეკონომისტების ნაშრომები, რადგან თავად შეგქმნოდა დასაბუთებული მოსაზრება გარკვეული საკითხების მიმართ. მაკრო ეკონომიკა ძალიან საინტერესო და მრავლის მომცველია – რატომ არის ფასების დონე ზოგიერთ ქვეყანაში მაღალი? რა პოლიტიკას ატარებს სახელმწიფო უმუშევრობის დონის შესამცირებლად? — მაკრო ეკონომიკის საშუალებით ამ და სხვა არაერთ პრობლემატურ შეკითხვას შეგვიძლია გავცეთ პასუხი. მისი დახმარებით შეიძლება უკეთ გავიგოთ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები და გავაანალიზოთ ეკონომიკური პოლიტიკის პოტენციალი. თანდათან მივხვდი, რომ ამ სფეროში საკუთარ თავს ვხედავდი, შემეძლო

მქონოდა ჩემი პოზიცია, კრიტიკულად მივდგომოდი ამა თუ იმ საკითხს. ეკონომიკური ცოდნა ხომ საზოგადოებრივი აზროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია“, — გვითხრა საუბრისას ვენერა ცერცვაძემ.

რექტორის სტიპენდიის მიღება მისთვის სასიამოვნოდ მოულოდნელი სიახლე იყო, ამიტომ თავიდან ძალიან გაუკვირდა, შემდეგ კი გაუხარდა: „მაღალი ქულები მქონდა, მაგრამ თსუ-ში ბევრი კარგი სტუდენტი სწავლობს, შესაბამისად კონკურენციაც მაღალია. რექტორის სტიპენდიატის სტატუსი დიდი პასუხისმგებლობა და პატივია, ამიტომ ვეცდები — ღირსეული უნივერსიტეტელი ვიყო“, — ამბობს ვენერა ცერცვაძე.

„ქულები მეორეხარისხოვანია, მთავარია ცოდნა“ — რექტორის სტიპენდიატი პრიორიტეტულ მნიშვნელობას ნიშნებით შეფასებას არ ანიჭებს. ცდილობს ბაკალავრიატის დასრულებამდე მაქსიმალურად ბევრი ცოდნა მიიღოს, შემდეგ კი მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას გეგმავს, ასევე, პროფესიით მუშაობას და დოქტორანტურის საფეხურის გავლასაც აპირებს. მისი საბოლოო მიზანი პედაგოგობაა.

სწავლის დაწყების აღსანიშნავი ღონისძიება, როდესაც ვენერა ცერცვაძეს რექტორის სტიპენდია გადაეცა, აქციის ფონზე მიმდინარეობდა. პირადად მას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლების ხარისხთან დაკავშირებით პრეტენზია არ აქვს. იგი საპირისპიროს ფიქრობს, რომ კვალიფიციური პროფესურის დახმარებით საკმაოდ მაღალი დონის განათლების მიღებას შეძლებს.

„ჩვენს ფაკულტეტზე თუ მონდომებული ხარ და სწავლა გინდა, კარგ ცოდნას მიიღებ. გაქვს ყველანაირი საშუალება, მთავარია იგი გამოიყენო. ვერ უარყოფ, რომ უნივერსიტეტში პრობლემები არის. მაგალითად, საგნების არჩევისას რამდენიმე საგანზე დარეგისტრირება ვერ მოვასწარი, თუმცა განცხადების დაწერის შემდეგ ადმინისტრაციამ ეს პრობლემა მარტივად მოგვიგვარა“, — აღნიშნა ვენერა ცერცვაძემ.

მაკრო ეკონომიკის სპეციალობის გარდა რექტორის სტიპენდიატს წერა, მუსიკა, მხატვრული ლიტერატურის კითხვა და კინემატოგრაფიაც აინტერესებს. წერს 12 წლიდან, თუმცა მხოლოდ ჰობის დონეზე. მუსიკიდან უფრო მეტად კლასიკური როკ-მუსიკა მოსწონს. ჩვენთან საუბრისას ფილმებიდან ტომას ჟანის ფილმი „კაკუნი სამოთხის კარზე“ გამოარჩია, ლიტერატურიდან — ფიოდორ დოსტოევსკის ნაწარმოებები. ამ დროისთვის კი იგი სტივენ კინგის შემოქმედებას ეცნობა.

რამ დააბნია რეგისტრაციის დროს მომსახურე პერსონალი?

უნივერსიტეტის ბაღში თუ აუდიტორიაში ეს თემა ხშირი განხილვის საგანია... თანაკურსელები და ლექტორები ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან — ანი და ირინა თუ ირინა და ანი? — გოგონები არა მხოლოდ მომხიბვლელი გარეგნობით იქცევენ ყურადღებას, არამედ საოცარი მსგავსებითაც. როგორც ცნობილი იუმორისტი ჯოშ ბილიქსი ამბობდა: „ცხოვრებაში არსებობს მოულოდნელობა, რომლისთვისაც ჩვენ მზად არ ვართ და ეს მოულოდნელობა — ტყუპებია“.

ანი და ირინა ჩიტაძეების მხიარული თავგადასავლები სწორედ მათ საოცარ მსგავსებას უკავშირდება. იმის გამო, რომ ტყუპები იყვნენ, ხშირად „ისჯებოდნენ“ კიდეც. სკოლაში მასწავლებლებს თავსატეხი რომ ადვილად გადაეჭრათ, ორივეს ერთდროულად იძახებდნენ გაკვეთილის მოსაყოლად. ხშირად თაყვანისმცემლებსაც ეშლებათ და შეიძლება ერთერთს ორჯერაც მოუწიოს სიყვარულის ახსნის მოსმენა.

გოგონები სკოლაში კარგად სწავლობდნენ და უნივერსიტეტშიც ერთ ფაკულტეტზე ჩააბარეს. ტყუპებმა რეგისტრაციის დროსაც დააბნიეს მომსახურე პერსონალი, რადგან ეგონათ, რომ ერთი და იგივე გოგონამ ორჯერ გაიარა რეგისტრაცია.

ანიმ და ირინამ არჩევანი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენის მიმართულებაზე გააკეთეს. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მისაღებ გამოცდებზე, ჯამში, ერთნაირი ქულები დააგროვეს. „ძირითადად, საერთო ინტერესები გვაქვს, ყველაფერზე ერთნაირად ვფიქრობთ, თუმცა ერთად მეცადინეობა შეუძლებელია, მაშინვე ჭორაობას ვიწყებთ, ერთმანეთის ყველაფერი ვიცით, ერთმანეთის აზრებს უთქმელადაც ვგებულობთ“, — ამბობს ანი... თუ ირინა... პრინციპში, ალბათ, სულ ერთია.

ტყუპებს მხოლოდ ერთხელ, თურქეთში მოგზაურობის დროს მოუწიათ ერთმანეთთან განშორება და პირველივე ღამეს ორივეს მაღალი სიცხე მისცა, ამიტომ სასწრაფოდ შეახვედრეს ერთმანეთს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე ბიჭიც კი მოსწონებიათ, მაგრამ მაშინაც კი არ უჩხუბიათ — ერთმანეთს ვუთმობთ ხოლმეო, — ხუმრობენ გოგონები.

კითხვა ორივეს უყვარს და, ალბათ, აღარ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ წიგნებსაც ერთნაირს კითხულობენ. მათი საყვარელი მწერალი პაულო კოელიოა. ორივეს განსაკუთრებულად მისი „ალქიმიკოსი“ მოსწონს. სხვათა შორის, ორივე კარგად ხატავს, ეს ნიჭი მამისგან გამოჰყვათ, უმეტესად პორტრეტებს ხატავენ, ორივეს თავისი ავტოპორტრეტი აქვს დახატული, სადაც ანი ირინას ჰგავს და ირინა — ანის....

ანი და ირინა მხიარულად ცხოვრობენ. როგორც მათი თანატოლების უმეტესობა, თავისუფალ დროს, მუსიკას უსმენენ და ბარში დადიან გასართობად, თუმცა მომავალში უფრო სერიოზული გეგმები აქვთ. ორივე ფიქრობს, რომ თავიან სფეროში წარმატების მისაღწევად უფრო მეტი შრომაა საჭირო. გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ სწავლაზეც ფიქრობენ. ამ ოცნებებსაც, ალბათ, ერთად აისრულებენ....

მოამზადა
შურთხია გეროშვილმა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელ კურსებზე.

მეცადინეობები ჩატარდება 2015 წლის 15 ოქტომბრიდან 2016 წლის 1 ივლისამდე.

აბიტურიენტები სრულფასოვნად მოემზადებიან შემდეგ საგნებში:

- ქართული ენა და ლიტერატურა
- უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)
- ისტორია
- მათემატიკა
- ზოგადი უნარები
- გეოგრაფია
- ბიოლოგია
- ქიმია
- ფიზიკა

მეცადინეობებს უძღვებიან უნივერსიტეტის პროფესორები

აბიტურიენტთა მომზადების კურსები დაგეხმარებათ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატების მიღწევაში.

რეგისტრაცია იწყება 7 სექტემბრიდან ელექტრონულად ჩვენს ვებგ-ვერდზე: www.tsu.edu.ge > სწავლა > უწყვეტი განათლება > აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება

ან დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართებზე:
ქალაქი თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 55 (თსუ-ის VII კორპუსი);
ქალაქი რუსთავი, ტამკენტის ქ. #6 (ყოფილი ბაგა-ბაღის შენობა).

facebook.com/თსუ-ს მომზადების განყოფილება
abiturienti@tsu.ge
599 97 70 90

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, ირაკლი იმედაძე, ირმა რუხაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11°
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62